# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 სექტემბერი 2007 №203 (3126) ფასი 50 თეთრი

# კლაუს ტოპმიოლერი ერო-ვნებას აჰყვა

## ნაკრებში უკვე მეექვსე შინაჩემპიონატელს უხმო



პარასკევ-შაბათ-კვირა-ორშაბათს საქართველოს ჩემპიონატის მატჩები იყო და ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს დღე არ გამოუტოვებია, ჯამში ოთხ მატჩს დაესწრო.

ჩემპიონატის მეოთხე ტურს სენსაციები არ მოუტანია, მთავარმატჩი კი მცხეთაში იყო, სადაც ჩემპიონმა „ოლიმპმა“ უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის ხელში პირველი მატჩი წააგო — „ვიტ ჯორჯიასთან“ დათმო. კვლავ მოიგო „დინამომ“ და ერთადერთია, უდანაკარგოდ რომ მიდის, გუშინ მისგან ძლეული „მერანი“ კი ერთადერთი უქულოა. ეს მატჩი იმითაა გამოსარჩევი, პირველი საჩემპიონატო იყო, განახლებულ „ეროვნულზე“ რომ გაიმართა

ყველაზე სენსაციური ლიდერთა ჯგუფში „მესხეთის“ ყოფნაა, რომელმაც „დილას“ ძლევით ცხრა ქულას მოუკრა პირი, პირველ-მეორეზე კი „ზესტაფონი“ და „ვიტ ჯორჯია“ არიან 10-10 ქულით.

ჩემპიონატი ცოტას დაისვენებს, წინ სანაკრებო მატჩებია და კლაუს ტოპმიოლერმა 8 სექტემბერს უკრაინასთან და 12 სექტემბერს აზერბაიჯანთან სათამაშოდ „ვიტ ჯორჯიას“ მცველ ალექსანდრე კვახაძეს უხმო. შედეგად, კვახაძე მეექვსე ფეხბურთელია ეროვნული ჩემპიონატიდან, ვინც ამ მატჩებისთვის გამოიძახეს.

დღეს კი ნაკრები შეკრებას იწყებს — სალამოს 18 საათზე „ამერის“ სტადიონზე ივარჯიშებს. ბარემ, მომდევნო დღეების ვარჯიშების განრიგსაც გაგაცნობთ: 5 სექტემბერი — 11 საათი, „ამერის“ სტადიონი, 18 საათი, „ეროვნული“, 6 სექტემბერი — 18 საათი, „ამერის“ სტადიონი, 7 სექტემბერი — 19 საათი, „ეროვნული“.

# მეექვსე
## ალექსანდრე კვახაძეს მოლოდინი დაუფინაურეს



**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა უკრაინასთან მატჩისთვის ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ხუთ ფეხბურთელს უხმო. გერმანელი სპეციალისტი ამ ხუთეულს არ დასჯერდა და გუშინ კიდევ ერთი, „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი და ცენტრალური მცველი ალექსანდრე კვახაძეც მიიწვია შეკრებაზე.

ტოპმიოლერმა კვახაძის თამაში ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯია" — „ოლიმპის" მატჩისას ნახა. ლექსომ ის მატჩი კარგად ჩაატარა და „სარბიელმა" ივარაუდა კიდეც, არაა გამორიცხული, კვახაძე ნაკრებში ვიხილოთო...

„რომ გითხრათ, ველოდი-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ მოულოდნელიც ნამდვილად არ ყოფილა, გაკვირვებული არ ვარ, უფრო გახარებული ვარ. ბოლო დროს სტაბილურად ვთამაშობ და ვთვლი, რომ კარგ ფორმაში ვარ. ისე, გამოძახებას უფრო მეორე ნაკრებში უფრო ველოდი" — გვითხრა გუშინ დებიუტანტმა.

„ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელს ნაკრებში სერიოზული კონკურენცია ელის. მას ჩვეულ პოზიციაზე კახა კალაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, მათე ლვინიანიძე და, შესაძლოა, მალხაზ ასათიანიც დახვდნენ. თავად ფეხბურთელიც რეალურად აფასებს ვითარებას:

„უკრაინასთან ალბათ არ ვითამაშებ, აზერბაიჯანელებთან კი ეს შესაძლებელია. როგორი საქმეა, ნაკრებია, ადაპტაციას დრო სჭირდება, მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მათთან შეთამაშებაც მჭირდება, თუმც გამორიცხული არაფერია, შესაძლოა, უკრაინასთანაც ვითამაშო".

კვახაძე საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი სტაბილური მცველია, ამ ზაფხულს რამდენიმე წინადადებაც ჰქონდა უცხოეთიდან, თუმც ეს საქმე გადაედო...

„რუსეთის ვიზამ საქმე გამიჯანჯლა და ზაფხულში საქართველოდან წასვლა არ მომიხერხდა. პირველ წრეს „ვიტ ჯორჯიაში" ჩავამთავრებ და მერე წავალ, თანაც სხვა გუნდში გადასვლა ზამთრის შესვენებისას სჯობს, სეზონისთვის ყველა შეკრების გავლას მოვასწრებ" — იმედოვნებს კვახაძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო — უკრაინა
## ჩაიცვით თეთრი და წითელი




8 სექტემბერს საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

გულშემატკივრებო, ჩავიცვათ თეთრი და წითელი მაისურები და მხურვალედ ვუქომაგოთ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ თამაშის დღეს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრების („დიადორას") მაისურები, შორტები და გეტრები გაიყიდება.

მაისურა (წითელი, თეთრი) — 100 ლარი;
მაისურა (გრძელმკლავიანი: წითელი, თეთრი) — 110 ლარი;
შორტი (წითელი, თეთრი) — 50 ლარი;
გეტრები (წითელი, თეთრი) — 20 ლარი;

# ბილეთები 5 სექტემბრიდან

**8 სექტემბერს** საქართველოს ეროვნული გუნდი თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უკრაინის ნაკრებს უმასპინძლებს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება ხვალიდან, 5 სექტემბრიდან, „ეროვნულის" 10 სალარო იმუშავებს 11-დან 18 საათამდე. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, სალაროები იმუშავებს 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე იმუშავებს 4 სალარო ცაბაძის ქუჩაზე.

ბილეთები 5, 10 და 20 ლარი ეღირება.

5 ლარი: ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.

10 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე სექტორები;

დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.

20 ლარი: აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი — მე-13, 14-ე, მე-15 და მე-16 სექტორები;

აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — 23-ე და 24-ე სექტორები;

დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი — მე-7, მე-9 და მე-10 სექტორები.

**სფფ-ის პრესცენტრი**

გაზეთ „სარბიელის" 2007 წლის 1 სექტემბრის ნომერში გაიპარა ფაქტობრივი შეცდომა. კერძოდ, ნათქვამია: „ლუქსემბურგთან ვიდეოანალიზის შემდეგ დავასკვენით, რომ მაღალი კლასის გუნდებს თამაშის დონით ვუთანაბრდებით".

უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ, რომ პრესკონფერენციაზე ცალცალკე ნახსენები იყო ლუქსემბურგიც, ვიდეოანალიზიც და ისიც, რომ ბოლო რამდენიმე შეხვედრის გაანალიზების შემდეგ ნაკრების თამაშში თანამედროვე ფეხბურთის მიმართულებით სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, თუმცა არსად ყოფილა ნახსენები, რომ ეს ფაქტი მხოლოდ ლუქსემბურგთან თამაშის შემდეგაა დაფიქსირებული.

სფფ უმორჩილესად სთხოვს მასმედიის წარმომადგენლებს, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდონ ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებულ ინფორმაციებს, ვინაიდან ბოლო პერიოდში გაზეთებსა და ზოგიერთი ტელეკომპანიის ეთერში საგრძნობლად იმატა ანალოგიურმა შეცდომებმა, რაც ძალაუნებურად ვნებს ქართული ფეხბურთის განვითარებას.

**პატივისცემით, სფფ-ის პრესცენტრი**

# აზერბაიჯანელებმა საყარდაშო გაამზადეს

**საქართველოს** ეროვნული გუნდი 8 სექტემბერს უკრაინელებთან ევროშესარჩევი თამაშის მერე, 12 სექტემბერს აზერბაიჯანელებს ესტუმრება ამხანაგურად გასაჯიბრებლად.

მატჩი ბაქოში, ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 21 საათზე დაიწყება.

აზერბაიჯანელებმა იმ 18 ფეხბურთელის სიაც გამოაქვეყნეს, რომლებიც ქართველებთან მატჩისთვის მოემზადებიან: *ფარჰად ველიევი, ასლან ქარიმოვი (ორივე ყარაბახი), ჩაჰანგირ ჰასანზადე, სამირ აბასოვი, ემინ იმამალიევი, ჰაქან მამედოვი (ყველა ინტერი), რამინ ყულიევი, ალექსანდრ ჩერტოფანოვი, რამაზან აბასოვი, სამირ ალიევი, ბრანიმირ სუბასიჩი (ყველა ნეფთჩი), ზაურ ჰასიმოვი, ელმარ ბახშიევი, ემინ ყულიევი, ალიმ ყურბანოვი, სეუჰუნ სულთანოვი (ყველა ხაზარი), ელვინ ალიევი (ოლიმპიკი), ოლჰარ ყურბანოვი (სივასპორი, თურქეთი).*

როგორც ხედავთ, აზერბაიჯანის ნაკრებში ერთი ლეგიონერი და ერთიც ნატურალიზებული სერბია, რომელიც სხვებთან ერთად ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს ნაკრების მეკარე უგუნდოდაა



**საქართველოს** ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია ისევ უგუნდოდაა. ლვოვის „კარპატის" გენერალური დირექტორის ალექსანდრ ეფრემოვის თქმით, კლუბმა მისი სათამაშო კონდიციები დაიწუნა.

„მისგან მეტს ველოდით, სამწუხაროდ, ლომაია სათანადო ფორმაში არ არის" — განაცხადა ეფრემოვმა.

ლვოვში ჩასვლის შემდეგ ლომაიამ ძირითად გუნდში მხოლოდ ერთხელ ითამაშა — უფრო სწორად, კიევის „დინამოსთან" 3:7 წაგებულ მატჩში შეცვლაზე შევიდა და ოთხი ბურთი გაუშვა. ამდენივე გოლი ლომაიას კარში ლუგანსკის „ზარიას" დუბლიორებმაც გაიტანეს. 2 მატჩში 8 ბურთი — სწორედ ამ მიზეზით დატოვებინეს ლომაიას ლვოვი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

**აეკ (საბერძნეთი) 1:4 *სევილია (ესპანეთი)* (0:2)**
0:1 ლ. ფაბიანო (31), 0:2 კეიტა (41), 0:3 ლ. ფაბიანო (45), 0:4 კერჟაკოვი (53), 1:4 რივალდო (81)

### ინგლისი
ჩემპიონატი. IV ტური
**ბლექპული 2:1 ჰალი**

### იტალია
სერია A. II ტური
**მილანი 1:1 ფიორენტინა**
სერია B. II ტური
**სპეცია 0:2 ბოლონია**
სერია C1/B. II ტური
**სალერნიტანა 1:1 გალიპოლი**

### საფრანგეთი
II დივიზიონი. VI ტური
**ბასტია 0:1 ნანტი**

### დანია
სუპერლიგა. VIII ტური
**ოლბორგი 2:1 ნორდსიელანდი**

### ირლანდია
პრემიერლიგა. XXIV ტური
**დროჰედა 0:1 დუბლინი**

### ნორვეგია
ტიპელიგა. XIX ტური
**სტაბეკი 0:2 ფრედრიკსტადი**

### შოტლანდია
პრემიერლიგა. V ტური
**მოზერუელი 0:2 ჰართსი**

### გერმანია
II ბუნდესლიგა. IV ტური
**ფრაიბურგი 3:2 ჰოფენჰაიმი**

### შვეიცარია
სუპერლიგა. VIII ტური
**ლუცერნი 1:1 სიონი**

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. V ტური
**ბოჰემიანსი 2:2 ჟიჟკოვი**

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XIX ტური
**ინტერი 1:1 ტამპერე**
**კტპ 1:0 მიუპა**
**ვაასა 0:0 ჰაკა**
**ჰიკ 0:1 ჰონკა**

### შვედეთი
ალსვენსკა. XX ტური
**გეფლე 2:2 ელფსბორგი**
**ჰელსინგბორგი 1:4 იურგორდენი**
**იორებრო 2:1 გაის**
**ჰამარბი 1:2 აიკ**

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 4 ტური

# თამაში პოლუსების და დაბრუნების

თბილისი. 3 სექტემბერი. 16.30 საათი. ეროვნული. 1 000 მაყურებელი

## დინამო 3:0 მერანი

1:0 მერებაშვილი (59), 2:0 სპასოევიჩი (64), 3:0 ხუციშვილი (82)

| | |
|---|---|
| დინამო: ოვონო, გ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი (ხუციშვილი 77), გ. მერებაშვილი, ფეიქრიშვილი (სპასოევიჩი 65), ს. კობახიძე, აკირემი (ფირცხალავა 80) სათადარიგონი: ლორია, თომაშვილი, შ. კაშია, გონჩაროვი მწვრთნელი: დუშან უჰრინი | მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ლომაშვილი (ავალიანი 79), ბ. ნოზაძე, ტყემელაშვილი, ბ. ქლენტი (სირბილაძე 60), ბესარაშვილი (ჯანგიძე 75), გოჩაშვილი სათადარიგონი: სეფიაშვილი, კილასონია, ფურთუხია, სევასტოპულო მწვრთნელი: თამაზ კოსტავა |

გაფრთხილება: ხმალაძე (40), გიგაური (48), სპასოევიჩი (76)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ბ. ქიქინაძე, ხ. ხპიცინი, ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგაძე



ბაჩო კოთოლაშვილის ფოტო

**ილია ნანობაშვილი**

**მთელი** პირველი ტაიმი ძილბურანში მყოფი „დინამო" სადღაც 55-ე წუთიდან გამოფხიზლდა და სამი გოლიც გაჩარხა — ორიოდ სიტყვით ასეთი იყო გალამაზებულ ეროვნულ სტადიონზე გამართული ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი. თამაშის დაწყების წინ საქართველოს ჰიმნიც აჟღერდა და გუნდების კაპიტნებმა „ეროვნულზე" ჩემპიონატის დაწყების აღსანიშნავად საქართველოს დროშა აწიეს.

მეოთხე ტურის ბოლო მატჩს ორივე გუნდი უხასიათოდ შეხვდა: „დინამო" ვენიდან ხუთგოლგაშვებული ჩამოვიდა, თორემ ჩემპიონატში რა უჭირს... „მერანმა" კი ყველა მატჩი წააგო, თანაც მშრალად. თამაზ კოსტავას გუნდმა „ტრადიცია" გააგრძელა, მაგრამ პირველ ტაიმში „მერანს" აუტსაიდერობას ვერ შეატყობდა კაცი — მეტიც, ნახევრად საგოლე მომენტებს რომ ვეძახით, ასეთები „დინამოს" კართან უფრო შეიქმნა. ჯერ ბექა ნოზაძეს, მერე კი ბექა ქლენტს გაუცუდდათ შანსი.

25-ე წუთზე „დინამომ" პირველად წაიჩხვლიტა, ჟორჟ აკირემიმ გიორგი მერებაშვილს ჩააწოდა, რომელმაც მაკრატელა ვერ დაარტყა, დამატებაზე კი გიორგი ფეიქრიშვილმა კარს გადააცილა ბურთი. აქედან ცოტა ხანში ისევ „მერანს" ჰქონდა მომენტი — მიხეილ ბესარაშვილის შორიდან გასროლილი დიდიე ოვონომ ძლივს გადააგდო კუთხურზე, საპასუხო შეტევისას კი სანდრო კობახიძე გიორგი ლოლაძეს გასცდა, მაგრამ რევაზ თევდორაძემ დასწრებაზე კარგად ითამაშა.

აქ კი ივარგა თევდორაძემ, მაგრამ მეორე ტაიმში სამივე გოლი შორიდან გაუშვა. 59-ე წუთზე აკირემის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა მერებაშვილმა გაიტანა — ცოცხალ კედელში გააძვრინა ბურთი.

„დინამოს" თავკაცმა დუშან უჰრინმა ნამატჩევს აღნიშნა, პირველმა გატანილმა გუნდი დაამშვიდა და ლაღად აათამაშაო. მართლაც, მასპინძლებმა შეტევები გააძლიერეს და მინდორზე ახალშესულმა ილია სპასოევიჩმა უძლიერესი დარტყმით 2:0 გახადა. ჩერნიგორიელ ფორვარდს მინდორზე შესვლა და წუთში გოლის გატანა დაებედა — წინა ტურში ბორჯომშიც ასე იყო.

70-ე წუთზე „მერანს" ასპროცენტიანი შანსი მიეცა, ბურთმა დიდხანს იტრიალა „დინამოს" საჯარიმოში, ბოლო დარტყმა ვლადიმერ გოჩაშვილმა ითავა და ოვონომ მკვდარი ბურთი გამოაძრო.

ბოლოს კი „დინამომ" მესამეც გაიტანა, მიხეილ ხუციშვილმა შორი მანძილიდან ლამაზად დაატრიალა ბურთი და თევდორაძე უსაქმოდ დატოვა. „დინამო" ერთადერთი ქულადაუკარგავი გუნდია ჩემპიონატში, „მერანი" კი — ერთადერთი ქულამოუნაგრავი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| მესხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

### პრესკონფერენცია

თამაზ კოსტავა შეუძლოდ გახდაო, გვითხრა პრესკონფერენციაზე შემოსულმა „მერანის" მწვრთნელმა *დავით ეჯიბიშვილმა:*

— პირველ ტაიმს დიდი ენერგია შევალიეთ, მეორეში კი ძალა არ გვეყო. ბიჭებს მონდომებას ვერ დავუკარგავ, მაგრამ „დინამო" რომ ჩვენზე ძლიერია, ამას თქმა არ უნდა.

*დუშან უჰრინი:* „რაპიდთან" მატჩის შემდეგ ფსიქოლოგიურად ძნელი თამაში იყო. „მერანს" სამი წაგება ჰქონდა და პირველი ქულის ასაღებად იბრძოდა. ისე კი, პირველი გოლის შემდეგ ფეხბურთელებს წნეხი მოეხსნათ და თამაში შედარებით გაუიოლდათ.

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

**6 სექტემბერს**, 13 საათზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში თასის გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრა გაიმართება.

წლეულს საქართველოს თასის გათამაშება შარშანდელი ფორმატით ჩატარდება. მერვედფინალში 16 გუნდი ოთხ ოთხგუნდა ქვეჯგუფს შექმნის და ორ წრედ ითამაშებს, ორ-ორი საუკეთესო კი მეოთხედფინალში გავა.

ჯერჯერობით ცნობილია 15 მერვედფინალისტი, ერთის ვინაობა კი ხვალ გაირკვევა — ფოთის „კოლხეთი" საპასუხო მატჩში ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს. მათი პირველი მატჩი უგოლო ფრით დასრულდა.

შეგახსენებთ იმ გუნდებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს მერვედფინალში თამაშის უფლება: *„დინამო", „ამერი", „ზესტაფონი", „ოლიმპი", „ვიტ ჯორჯია", „მესხეთი", „მგლები", „ბორჯომი", „ბათუმი", „მალაროელი", „სპარტაკი", „მერანი", „დინამო" „ლოკომოტივი" და „კახეთი".*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### აღმოსავლეთი

**ამერი 2 5:2 მეშაძრე**
გაგრა – ნ. დინ-მერანი 2
დინამო 2 – ჩიხურა
ოლიმპი 2 – ვიტ ჯორჯია 2
ოლიმპიკი – კახეთი
დღეს გაიმართება

### დასავლეთი

**ტორპედო 1:2 კოლხეთი (ხ)**
**კოლხეთი (ფ) 2:0 უნივერსიტეტი**
**ფაზისი 3:1 მეშახტე**
**სამტრედია 2:4 ზესტაფონი 2**
**მარტვილი 0:1 მალაროელი**

საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა — 3 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| მეშაძრე | 3 | 1 | 1 | 1 | 10:7 | 4 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოლიმპიკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ოლიმპი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კახეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| გაგრა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:8 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ზესტაფონი 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| მალაროელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| მეშახტე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ფაზისი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| მარტვილი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ტორპედო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| სამტრედია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

## ბაქოში ჩაშვებას ეჭვობენ
## ალა გოგობერიშვილს შემოსწყრა





**ალეკო გოგობერიშვილისა** და ამირან მუჯირის „ბაკუმ" აზერბაიჯანის ჩემპიონატის წინა ტურში კვლავ ვერ მოიგო — 1:1 ითამაშა „სტანდარტთან", რაც ბაქოელთა მთავარ მწვრთნელ ბეიუქალა გაჯიევს პოსტის დატოვებად დაუჯდა.

...თუმც ეს არაა იმდენად საინტერესო: საქმე ისაა, რომ მატჩის შემდეგ გაჯიევს გასახდელში ფეხბურთელებისთვის უყვირია და თამაშის მიცემაში დაუდანაშაულებია. განსაკუთრებით კი ორ ფეხბურთელს წაჰკიდებია, რომელთაგან ერთი გოგობერიშვილი ყოფილა.

**ილია ნანობაშვილი**

## დვალმა ახალაია ჩაანაცვლა

**2005-06 წლების** საქართველოს საუკეთესო ბომბარდირი, 22 წლის ჯაბა დვალი კარიერას მოლდოვაში გააგრძელებს. მან სამწლიანი კონტრაქტი კიშინიოვის „დაჩიასთან" გააფორმა, რომელშიც სამიოდე თვის წინ ლადო ახალაია თამაშობდა. დვალს ბოლნისის „სიონში", თბილისის „დინამოში", საჩხერის „ჩიხურასა" და რუსთავის „ოლიმპში" უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმა ძმისთვისაო

## ემილ ჰესკი ისევ ინგლისის ნაკრების წევრია – მადლობა მაიკლ ოუენს



ემილ ჰესკი

„**უიგანის**“ 29 წლის თავდამსხმელი ამ გამოძახებას ნამდვილად არ ელოდა. კვირა საღამოს რომ დაურეკეს და უთხრეს, ეროვნულ გუნდში გელითო, გაოცებისგან, ალბათ, პირი დააღო. არადა, ის მეტისმეტად საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის გამოიძახეს. 8 და 12 სექტემბერს, სწორედ ისრაელისა და რუსეთის წინააღმდეგ უნდა გაირკვეს, გავა ინგლისის ნაკრები ევრო 2008-ის ფინალურ სტადიაზე თუ ვერა.

რატომ გამოიძახეს ჰესკი? ამ კითხვაზე პასუხი, თითქოს, ძალიან ადვილია — იმიტომ, რომ სტივ მაკლარენს უეინ რუნიც დაშავებული ჰყავს და პიტერ კრაუჩიც, მაგრამ, ვაი, რომ ეს პასუხი მთლად მართალიც არ არის. მაინც და მაინც ჰესკი, თავისი 43-ე სანაკრებო შეხვედრის ჩასატარებლად იმიტომ გამოიძახეს, რომ მაკლარენს მაიკლ ოუენმა უთხრა, თუ ჩემგან მაქსიმუმი გინდათ, გვერდში ძველი ძმაკაცი ამომიყენეთო.

სტივ მაკლარენი: „ემილი გახლავთ სანაკრებო ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ფეხბურთელი, რომელსაც მაიკლთან ერთად უამრავჯერ უთამაშია ინგლისის სახელით. გარდა ამისა, ამ სეზონში ის „უიგანის“ შემადგენლობაში დიდებულად გამოდის, ასე რომ, ჩვენ მისი გამოძახება ვამჯობინეთ.

მართალია, ჰესკი რამდენიმე წელიწადია ნაკრებში აღარ გამოუძახიათ, მაგრამ მე მისი კლუბის მწვრთნელ კრის ჰათჩინგსს დავურეკე, რომელმაც მითხრა, რომ ეს თავდამსხმელი მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და მასზე დაყრდნობა მირჩია. ერთი სიტყვით, ემილ ჰესკი გამოძახების ღირსია და თან, ჩვენ ამწუთას ძალიან გვჭირდება მისი გამოცდილება. მისი მოედანზე ყოფნა, ერთი რომ ოუენს გადაადგილების სწორ მიმართულებებს მისცემს და მეორეც, ჩვენ გოლის გატანის შესაძლებლობანი სხვა პოზიციებიდანაც მოგვეცემა“.

სტივ მაკლარენი შაბათს „უიგანისა“ და „ნიუკასლ იუნაიტედის“ თამაშს საგანგებოდ დაესწრო, რათა ნაკრებში სამი წლის გამოუძახებელი ჰესკის თამაში ენახა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, აქ მთავარი როლი მაიკლ ოუენის ნათქვამმა და სტატისტიკამ ითამაშა: ხსენებულმა წყვილმა „ლივერპულის“ შემადგენლობაში 172 თამაშში 117 გოლი გაიტანა, ხოლო ნაკრებში 23 ჩატარებულში — 17.

**ბაჩუნა ძიდია**



# პოლ სესკ ფაბრეგასი

**არსენ ვენგერმა** სესკ ფაბრეგასს თავისი პოლ სქოულზი უწოდა — „არსენალის“ ესპანელმა ნახევარმცველმა „პორტსმუთის“ წინააღმდეგ ფანტასტიკურად ითამაშა. „მეთოფეთა“ მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ფაბრეგასის დარი შთაგონებული ფეხბურთელი მის გუნდს შესაძლოა, ჩემპიონის ტიტულისკენაც კი გაუძღვეს.

„სესკი ძალიან ჰგავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ პოლ სქოულზს — თქვა ვენგერმა მას მერე, რაც ესპანელმა ზედიზედ მეორე თამაშში გაიტანა გოლი — ის თამაშს ჭკუას ატანს და ცდილობს, მისი ყველა მოქმედება გონივრული იყოს. მას საუცხოო პასების გადაწოდება ეხერხება და ამასთან, ზუსტად თვლის, როგორ უნდა გაანაწილოს თავისი ენერგია და სისწრაფე, მეტოქის საჯარიმოში მაქსიმალურად ეფექტურად რომ შეაღწიოს. და, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ადამიანი, რომელზეც ვლაპარაკობთ, მხოლოდ 20 წლისაა“.

„არსენალმა“ „პორტსმუთს“ 3:1 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ფაბრეგასმა მთელი გასული სეზონის განმავლობაში გაიტანა 2 გოლი, ამ სეზონში კი უკვე გაუტოლდა ძველ შედეგს. არსენ ვენგერი ამბობს, რომ ეს მისი თამაშების ვიდეოჩანაწერთა ცქერამ განაპირობა.

„სესკის შარშანდელ თამაშთა ვიდეოჩანაწერები ვნახე და გავოცდი, ზოგ შეხვედრაში რამდენი საგოლე მომენტი ჰქონია. იყო მატჩები, როდესაც მას სულ მცირე, სამჯერ შეეძლო გოლის გატანა და ამის შემყურეს მწამდა, რომ ის გოლის გატანის უნარს აღიდგენდა. საყმაწვილო დონეზე ხომ მას უამრავი გოლი გაჰქონდა“.

**ბაჩუნა ძიდია**

# აზია მოიწევს



მალკოლმ გლეიზერი

**გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ ინგლისურ პრესაში წერია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელში ჩასაგდებად კიდევ ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ ორი გავეშებული კომპანია დგას, ჩინური და არაბული, დუბაიდან. როგორც ამბობენ, ორივე კორპორაციას კარგად სცოდნია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახლანდელი მეპატრონე, ამერიკელი გლეიზერების ოჯახი მილიარდ გირვანქაზე დაბლიდან ლაპარაკს, უბრალოდ, არც დაიწყებს.**

**ეს ამბავი, განსაკუთრებით კარგად ჩინელებს სცოდნიათ, რომელთაც ამა წლის დასაწყისში, „მანჩესტერის“ კარზე უკვე მიუკაკუნებიათ ხელში 850 მილიონით, მაგრამ უარი მიუღიათ. უარს ჩინელები არ შეუშინებია, რაც გასაკვირი სულაც არ არის. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხომ აზიაში არანორმალურად პოპულარული გუნდია და მისი მფლობელი ხელთ გვარიან შემოსავალს ჩაიგდებს**

**რაც შეეხება** არაბულ ორგანიზაციას, ის ადგილობრივ სამეფო გვართან ყოფილა დაკავშირებული, თუმცა ჩინურივით ცნობილი და ჭიპმოჭრილი არ ყოფილა და, როგორც ამბობენ, დიდ საერთაშორისო ბიზნესში გზის გაკაფვას ახლა აპირებს. კაცმა რომ თქვას, შესაძლოა, ცოტა ხნის შემდეგ გაირკვეს, რომ ეს საკმაოდ ცნობილი ორგანიზაციაა და ასე შემდეგ, მაგრამ ჯერჯერობით ასე იტყობინებიან და ჩვენც ასე გაცნობებთ.

„იუნაიტედთან“ დაკავშირებულმა პიროვნებამ გაზეთ News Of The World-ს უთხრა:

„მხატვრულად რომ ვთქვათ, ჩინურ ორგანიზაციას ზურგსუკან ასეულობით მილიონი ადამიანი უდგას, თუმცა არც დუბაის ჯგუფია ნაკლები. ერთი სიტყვით, მათ შორის წინააღმდეგობა და კონკურენცია შესაძლოა, საკმაოდ გამწვავდეს და ეს ფასს აწევს, რაც „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ კარგია, რადგან აწეული ფასი გლეიზერებს გაყიდვისკენ უბიძგებს. „იუნაიტედს“ რომ ყიდულობდნენ, გლეიზერებს მაშინ დიდძალი ფული ჰქონდათ, მაგრამ ახლა, როდესაც დაახლოებით 200 მილიონის მოგების ვარიანტი გამოუჩნდებათ, უარს ძნელად თუ იტყვიან. ცხადია, ფეხბურთის გუნდისთვის მილიარდი გირვანქა ძალიან დიდი ფულია, მაგრამ მეორე მხრივ ეს „მანჩესტერ იუნაიტედია“. არავის, ამქვეყნად, იმდენი მყიდველი არ უტრიალებს, რამდენიც „მანჩესტერ იუნაიტედს“.

და, რა არის ყველაზე საინტერესო, იცით? ის, რომ ინგლისელმა ჟურნალისტებმა ამ საკითხში გასარკვევად „მანჩესტერ იუნაიდეტის“ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს მიაკითხეს, ოღონდ ფერგიუსონის ნაცვლად პასუხი მისი ოჯახის პრესატაშემ გასცა:

„დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ არ იყიდება. გლეიზერების ოჯახს ამ კლუბთან დაკავშირებით შორს მიმავალი, დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე გათვლილი გეგმები აქვს, რაც სატრანსფერო პერიოდში დახარჯულმა თანხებმაც დაადასტურა. ეს დამოკიდებულება არ შეცვლილა და არც შეიცვლება“.

**ბაჩუნა ძიდია**



AFP

# გაანეგზეთ ჩვენ ბექჰს თავი!

„**ლოს ანჯელეს გალაქსის**“ ხელმძღვანელებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ ნოემბერში, როდესაც MLS-ის ჩემპიონატი დამთავრდება, დევიდ ბექემს ევროპის არც ერთ გუნდს არ მიაქირავებენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ბექემზე, რომელიც ისედაც ტრავმებით იყო გატანჯული, ცოტა ხნის წინ კი ისე დაშავდა, რომ ექვსი კვირის განმავლობაში მკურნალობა და ჯანმრთელობის აღდგენა დასჭირდება, უამრავი ხმა დაიყარა. თქვეს, რომ ნოემბრიდან ის შეიძლება გადავიდეს პრემიერლიგაში, იტალიაში ან ესპანეთში, რაც უპირველეს ყოვლისა, იმით იქნება გამართლებული, რომ კარს ევრო-2008 არის მომდგარი და, თუ ინგლისის ნაკრები ამ შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე მოხვდება, ბექემს შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის სათამაშო პრაქტიკა დასჭირდება.

მაგრამ, ამ ჭორების გაგონებაზე ისედაც გვარიანად შეშფოთებული „გალაქსის“ ხელმძღვანელები მთლად შეშფოთდნენ — ბექჰის დაუსრულებელმა ტრავმებმა ხომ უკვე ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ ლოსანჯელესელებმა ინგლისელის შეძენაში საკმაოდ დიდი თანხა, არც მეტი, არც ნაკლები, ქარს გაატანეს.

„გალაქსის“ პრეზიდენტი ალექს ლალასი:

„გამორიცხულია, ჩვენ ამ ტიპის წინადადებას დავთანხმდეთ. დევიდი „ლოს ანჯელეს გალაქსის“ სამომავლო გეგმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ნებისმიერი ინფორმაცია ბექემის სადმე გაქირავებასა ან ტრანსფერზე, მტკნარ სიცრუეზეა აგებული, ჩვენ ასეთ საკითხებს არათუ განვიხილავთ ვინმესთან, არამედ, ფიქრითაც კი არ ვფიქრობთ“.

შაბათს ბექემის გუნდმა კიდევ წააგო, ამჯერად „როიალ სოლტ ლეიკთან“ 1:2. ინგლისელი ვარსკვლავი, როგორც დაშავებულთა წესია, თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს

**ბაჩუნა ძიდია**

# აბრამოვიჩი ადრე წავიდა

„**ჩელსიმ**" ბოლო რვა თვეში პრემიერლიგის თამაში პირველად წააგო. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ „ჩელსი" ისეთი ველარ არის, წინა რვა თვეში რომ იყო თუ იმას, რომ „ჩელსი" ძალიან ძლიერია, რადგან რვა თვეში მხოლოდ ერთხელ წააგო? ამ კითხვას პასუხი მკითხველმა გასცეს, ჟოზე მაურინიუ კი ბრძანებს, რომ ინგლისის ჩემპიონობისთვის მთელი ბრძოლა ჯერ წინაა.

„დღეს პრემიერლიგაში ბევრი ძლიერი გუნდი თამაშობს — თქვა „მაუმ" „ასტონ ვილასთან" 0:2 დამარცხების შემდეგ — ადრე, ზედა ოთხეული ერთი თავით სჯობდა ქვედა ოთხეულს, ბოლო დროს კი ქვედა გუნდებმა წინ დიდი ნაბიჯი გადადგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ზედა ოთხეულის წარმომადგენლები უფრო ხშირად დამარცხდებიან. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, რომ ოთხეულის ქვედა გუნდებმა ფული დახარჯეს და შემადგენლობები გაიძლიერეს, სწორედ „ასტონ ვილაა". სხვების დასახელებაც შეიძლება. მათთან ბრძოლა, როგორც უკვე მოგახსენეთ, უფრო და უფრო ძნელი ხდება, თუმცა ისიცაა, რომ ხუთი ტურის შემდეგ, ვინ რომელ ადგილზეა დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

რაც შეეხება კონკრეტულად „ვილასა" და „ჩელსის" შეხვედრას, ჩემი აზრით, ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. სამწუხაროდ, ჩვენ ისეთი შეცდომები დავუშვით, ჩვეულებრივ რომ არ ვუშვებთ ხოლმე. ჯარიმების, კუთხურებისა და აუტების დროს ყურადღება არ გვაკლია ხოლმე, ამჯერად კი შეგვეშალა. შესვენებამდე განსაკუთრებით კარგად ვთამაშობდით, თუმცა მეორე ნახევრის პირველსავე წუთზე გაშვებულმა გოლმა ყველაფერი აგვირია. „ვილა" გაყოჩაღდა, საგანგებო ყურადღება მოიკრიბა, დაცვაში ჩინებულად ითამაშა და ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მოგვცა. ჩვენ მართალია, სათამაშო უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ეს ანგარიშში ვერანაირად ვერ ავსახეთ. ერთი სიტყვით, ყველა თავისი შეცდომებისთვის ისჯება. ჩვენ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეგვეშალა, „ასტონ ვილამ" კი უშეცდომოდ ითამაშა და ამიტომ, მიუხედავად ჩვენი უპირატესობისა, გამარჯვებას ის იმსახურებდა".

შემდეგ მაურინიუმ აღნიშნა, რომ „ასტონ ვილასთან" შეხვედრის წინ, მისი გეგმები ძალიან შეცვალა ფრენკ ლამპარდის ტრავმამ. მომავალში ბევრი იქნება დამოკიდებული დიდიე დროგბას ჯანმრთელობაზეც, რომელმაც კვირის შეხვედრის ბოლო წუთებზე მუხლი იტკინა.



ჟოზე მაურინიუ

AFP

„ლამპარდი პარასკევს, ვარჯიშის დროს დაგვიშავდა — ჯგუფური ვარჯიშის დროს კი არა, ამის შემდეგ, მარტო რომ დარჩა — განაგრძო მაურინიუმ — რის გამოც, მთელი კვირა რომ ვამუშავებდით, იმ გეგმის დავიწყება და ერთ დღეში სულ ახალი რალაცის მოფიქრება მოგვიხდა. ემოციებზე კი რა გითხრათ, მე ხშირად არ ვაგებ და ამიტომ წაგებას განსაკუთრებით მტკივნეულად აღვიქვამ".

ზემოთ „ვილას" პირველი გოლის ამბავი გითხარით — ის, მეორე ტაიმის პირველ წუთზე გავიდა. მეორე კი 88-ეზე, რის შემდეგაც „ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩი საფინალო სასტვენს აღარ დაელოდა, წამოდგა და წავიდა.

**ბაკუნა ბედია**

# ვის გაუღიმე, პაკო?



რაფა ბენიტესისა და პაკო აიესტერანის 11-წლიანი მეგობრობა დასრულდა

„**ლივერპულის**" თავკაცი რაფა ბენიტესი თავის ასისტენტს, პაკო აიესტერანს შემოსწყრა. მიზეზი: აიესტერანი ბენიტესის საძულველ მეტოქეს, „ჩელსის" პორტუგალიელ თავკაც ჟოზე მაურინიუს დაუძმობილდა.

კლუბის ოფისიდან გამოსული ხმების თანახმად, ლივერპულელთა ხელმძღვანელობაში პირველი კონფლიქტი ორი კვირის წინ, „ენფილდზე" ამ ორი გუნდის შეხვედრის შემდეგ მოხდა, რასაც ის მოჰყვა, რომ გასულ ხუთშაბათს აიესტერანმა ქუდი დაიხურა და წავიდა.

და რამ გაახელა ბენიტესი იცით? იმან, რომ ფრენკ ლამპარდის მიერ დარტყმული საეჭვოზე საეჭვო პენალტის შემდეგ — ამ დარტყმით ლონდონელებმა ანგარიში გაათანაბრეს და მატჩი ფრედ დასრულდა — გაიხედა და დაინახა, როგორ იცინოდა მისი ასისტენტი მაურინიუსთან ერთად.

„ლივერპულში" მომუშავე მავანმა, ყოვლისმჩხრეკელ ინგლისელ ჟურნალისტებს შეატყობინა:

„რაფას მოთმინების ფიალაში ეს ბოლო წვეთი იყო. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მაურინიუ მას კარგ ადამიანად არ მიიჩნევს და ასეთ დროს რომ დაინახა, როგორ ულიმოდა პაკო კონკურენტს, ჩათვალა, რომ უღალატეს. ბენიტესსა და მაურინიუს შორის ხომ ყოველთვის იყო წინააღმდეგობა. ამ ორ მწვრთნელს ერთმანეთი იმთავითვე აღიზიანებდა, ხოლო ასეთი დროს იმის დანახვა, როგორ ულიმის და ეხუმრება შენი კაცი შენს მოძულეს, მეტისმეტია. თან, ხომ გახსოვთ, ეს ის დღე იყო, როდესაც ტყუილი პენალტის დახმარებით „ლივერპულს" გამარჯვება გამოგლიჯეს ხელიდან".

„ლივერპულთან" დაახლოებული ხალხი ამბობს იმასაც, რომ აიესტერანს გასულ ზაფხულსაც მოუვიდა ბენიტესთან უსიამოვნება. მაშინ ბილბაოს „ატლეტიკს" სჭირდებოდა მწვრთნელი და აიესტერანს გასაუბრება მოუწყო, რის შესახებაც „ლივერპულის" შეფმა არაფერი იცოდა.

სხვათაშორის, ბენიტესმა გასული ზაფხულის დასაწყისში გუნდში ახალი ფიზ-მომზადების სპეციალისტი, მავანი პაკო დელ მიგელი მიიყვანა, რითაც აიესტერანს საქმეების ნაწილი ჩამოართვა და სხვას გადასცა, რამაც ის, ბუნებრივია, გააღიზიანა.

და ბოლოს, გასულ კვირას „ლივერპულმა" თავისი ოფიციალური გამოცემისთვის ჯგუფური ფოტო გადაიღო, პაკო აიესტერანმა კი ამ ფოტოზე გამოჩენა იუარა.

მავანი: „ფოტოსთან დაკავშირებული ამ ინციდენტის შემდეგ უკან დასაბრუნებული გზა აღარ იყო. რაფა საშინლად გააბრაზა იმ ამბავმა, რომ ფოტოს გადაღებაზე უარი მთელი გუნდის და პერსონალის წინაშე უთხრეს. არადა, ძალიან დასანანია, რადგან ეს ორი კაცი 11 წლის განმავლობაში განუყრელი იყო და ერთად მუშაობდა".

**ბაკუნა ბედია**

## კანდელა ფიზიკამ შეაშინა

**მსოფლიოს** 1998 წლის ჩემპიონმა ვენსან კანდელამ კარიერა დაასრულა. „აღარ ვითამაშებ, ჩემი დრო წავიდა — თქვა 33 წლის ფრანგმა მცველმა „ეკიპთან" — ფეხბურთი შეიცვალა, [illegible] და ნაკლებად ტაქტიკურ-ტექნიკური". კანდელამ კარიერა „ტულუზში" დაიწყო, მერე კი „გენგამში", „ბოლტონში", „უდინეზეში", „რომაში" „სიენასა" და „მესინაში" თამაშობდა. მისი სანაკრებო დებიუტი 1996 წელს თურქეთთან მატჩში შედგა. სულ კი ეროვნულ გუნდში 40-ჯერ ითამაშა. საკლუბო დონეზე იტალიის ჩემპიონატი მოუგია „რომაში".

## თქვენი გადახდილია

„**ფორმულა 1**"-**ის** შეფი ბერნი ეკლსტოუნი და „რენოს" საჯინიბოს პატრონი ფლავიო ბრიატორე „ქუინზ პარკ რეინჯერსს" 14 მილიონ გირვანქად ყიდულობენ. ამის შესახებ ინგლისურმა კლუბმა ოფიციალურად განაცხადა. მილიონს აქციონერებს გადაუხდიან, 13-ით კი ვალებს გაისტუმრებენ. ამის მერე კიდევ 5 მილიონს გაიმეტებენ ახალი ფეხბურთელების შესაძენად. ბრიატორე შაბათს ქპრ-ის მატჩს დაესწრო და თქვა: „ჯანი პალადინის (კლუბის თავმჯდომარე), მე და ბერნის გვსურს, რომ ოთხ წელიწადში გუნდი პრემიერლიგაში დავაბრუნოთ".

## საუკეთესო გარდაიცვალა

**მსოფლიოს** 1962 წლის ჩემპიონატის ფინალისტი და საუკეთესო მეკარე უილიამ შროიფი 76 წლისა გარდაიცვალა. ჩეხოსლოვაკიამ ფინალში ბრაზილიასთან 1:3 წააგო და მიუხედავად ამისა, სლოვაკი შროიფი საუკეთესოდ აღიარეს. მას 1954 და 1958 წლების ჩემპიონატებზეც უთამაშია, მეტსახელად „შავ კატას" ეძახდნენ.

## ბოლტონიდან ყატარისკენ

„**დეილი მირორის**" ცნობით, ივან კამპოს „ბოლტონთან" კონტრაქტის გაწყვეტა და ყატარში წასვლა სურს. ესპანელ მცველს „ბილბაო" და „მალიორკაც" ეპატიჟებიან. შარშან ზაფხულს კამპომ „ბოლტონთან" ხელშეკრულება ორი წლით გაახანგრძლივა, მაგრამ ამ სეზონში სათადარიგოებში ზის, რითაც უკმაყოფილოა. იგი პრემიერლიგაში 2002-ში მივიდა და 130 მატჩზე მეტი ითამაშა.

## კრსტაიჩის მუხლი

„**შალკეს**" მცველმა მლადენ კრსტაიჩმა მუხლის ტრავმა მიიღო. პარასკევს, „ლევერკუზენთან" მატჩში 33 წლის სერბს მყესები დაუზიანდა. კლუბს ჯერ არ დაუზუსტებია, რა ხნით გამოაკლდება კრსტაიჩი, მაგრამ სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ სულ მცირე, ოთხი კვირა ვერ ითამაშებს. სერბეთის ნაკრებს ორი ევროშესარჩევი მატჩი ელის ფინეთთან და პორტუგალიასთან.

## ვიტეკს გაჭრიან

„**ნიურნბერგისა**" და სლოვაკეთის ნაკრების ფორვარდი რობერტ ვიტეკი „კოტბუსთან" შეხვედრაში დაშავდა. დღეს ან ხვალ მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ და ამის მერე გაირკვევა, თუ რამდენი კვირით მოუწევს უქმობა. ვიტეკი 15 სექტემბერს „ჰანოვერთან" მატჩს გამოტოვებს და ეგებ უეფას თასზე ბუქარესტის „რაპიდთან" შეხვედრისთვის მომჯობინდეს.

## ბოსინგვა იანვარში

„**ასტონ ვილას**" მწვრთნელი მარტინ ონილი „პორტუს" ფეხბურთელ ჟოზე ბოსინგვას ყიდვას აპირებს. 24 წლის მარჯვენა მცველი კლუბმა ამ ზაფხულს 12 მილიონ გირვანქად შეაფასა და „ვილას" გარდა მისი შეძენა „სევილიასაც" სურდა. ონილი იანვარში შეეცდება ბოსინგვას გადაბირებას, რადგან მარკ დილანისა და აარონ ჰიუზის წასვლის შემდეგ გუნდს მარჯვენა მცველი სჭირდება.

## თავისუფალი დიეგო

„**უიგანი**" არგენტინელი დიეგო პლასენტეს გადაბირებას ლამობს, რადგან არგენტინელი ფეხბურთელი ახლა თავისუფალი აგენტია. „ევერტონში" ლეიტონ ბაინსის გადასვლის მერე უიგანელები ცენტრალურ მცველს ეძებენ, პლასენტემ კი „სელტასთან" კონტრაქტი გაწყვიტა მას შემდეგ, რაც გუნდი სეგუნდადივიზიონში გავარდა. პლასენტემ კარიერა „არგენტინოს ხუნიორსში" დაიწყო. შემდეგ „რივერ პლეიტში" იყო, საიდანაც „ლევერკუზენში" გადავიდა. მას ნაკრებში 22-ჯერ უთამაშია.

## დერბიმ ორი შეიწირა

**მოსკოვის** „სპარტაკს" ცსკ-სთან მატჩში მარტინ შტრანცლი და ველიტონი დაუშავდნენ. ბრაზილიელი ფორვარდი ველიტონი მეთხუთმეტე წუთზე შეცვალეს, ავსტრიელი მცველი შტრანცლი კი — თამაშის დასრულებამდე ცამეტი წუთით ადრე. თავდამსხმელს ორი-სამი კვირა გაუცდება, მცველს კი ერთთვიანი უქმობა ელის. ორივე ფეხბურთელი „ჰეკენთან" უეფას თასის პირველ მატჩს გამოტოვებს.

## ლეირიასთან უგანელოდ

**განის** ნაკრებისა და „ლევერკუზენის" ფეხბურთელმა ჰანს შარპეიმ „შალკესთან" შეხვედრის 25-ე წუთზე ტრავმა მიიღო და ვრასტისლავ გრეშკოთი შეცვალეს. 31 წლის განელს, სავარაუდოდ, ორკვირიანი მკურნალობა ელის და გუნდს ვერ დაეხმარება „ლეირიასთან" უეფას თასის მატჩში.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ბედნიერი მამა

## რონალდინიო, ჟოაო და სამკლავური

AFP

**ბუშინწინ** რონალდინიო „კამპ ნოუზე“ „ბილბაოსთან“ მატჩში „ბარსელონას“ კაპიტანი გახლდათ, რის გამოც ბრაზილიელმა მოედანზე გასვლის ტრადიციული რიტუალი დაარღვია — „კიჭა“ „ბარსას“ მატჩებისას მინდორზე ყველაზე ბოლოს გამოდიოდა, ახლა კი კაპიტნობის გამო თავის გუნდს წინ მიუძღვოდა.

თამაშის შემდეგ ესპანურ მედიაში დაწერეს, რაც „ბილბაოსთან“ ვნახეთ იმის გათვალისწინებით, რონის როცა უნდა, მოედანზე პირველი მაშინ შემოუშვითო (რონიმ „კამპ ნოუზე“ შესანიშნავად იბურთავა და „ბარსას“ ქომაგებსაც ახალი ტრადიციის იმედი გაუჩნდათ).

ბრაზილიელი განსაკუთრებით საბრძოლოდ შემართული სტადიონზე ვაჟის, პატარა ჟოაოს ყოფნის გამოც გახლდათ. ორი წლის უმცროსი გაუჩო მამამისის ბურთაობას ტრიბუნიდან პირველად უცქერდა და, ცხადია, რონალდინიოს ამ თამაშში თავის გამოჩენა სურდა.

თავიდან „კიჭამ“ უჩვეულოდ დაიწყო და შეტევაში დაჯარიმდა, რაც მას ნაკლებად ახასიათებს, თუმც ამ ეპიზოდიდან სულ რაღაც ოთხ წუთში საგოლე შანსი მიეცა და მშვენივრადაც გამოიყენა — ბასკთა მეკარემ მისი საჯარიმოს მოგერიება ვერ შეძლო.

სიხარულისგან „მთვრალი“ რონალდინიო იმ ტრიბუნასთან მიიჭრა, სადაც ჟოაო და დედამისი ისხდნენ და ცნობილი ჟესტით („ბეიბი გოლი“) „ბილბაოს“ კარის აღება თავის შვილს მიუძღვნა.

რონის ამის შემდეგაც შეეძლო თამაშიდან გოლის გატანა, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. საბოლოოდ კი ტიერი ანრის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

„ბედნიერი მამა“ — დაწერეს ესპანურმა გაზეთებმა.

**ლადო ხომერიკი**

# პუიმ ვარჯიში დაიწყო

**კარლეს პუიოლმა** მარცხენა ფეხის მუხლი 21 ივნისს, სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული ამხანაგური მატჩის დროს დაიშავა. ექიმებმა „ბარსელონას“ კაპიტანს სერიოზული დიაგნოზი დაუსვეს და „პუისაც“ მთელ მოსამზადებელ პერიოდში ბურთთან და მოედანთან ჩამოცილება მოუხდა. მან ვერც პრიმერადივიზიონის პირველ ორ ტურში შეძლო თავისიანთა დახმარება.

გუშინ კი კაპიტანმა პირველად ივარჯიშა — პუიოლმა „ლა მასიას“ საწვრთნელ მინდორზე ირბინა და ბურთთან ერთად მსუბუქი ვარჯიშებიც შეასრულა, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბარსელონას“ ფეხბურთელი უკვე საბრძოლო ფორმაშია. კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბის განცხადებით, კარლესი დიდ ფეხბურთში სულ ცოტა, სექტემბრის ბოლოს თუ დაბრუნდება.

ამასობაში, ფრანკ რაიკარდი თავის გუნდს კატალონიის თასის ნახევარფინალური მატჩისთვის ამზადებს. „ბარსელონა“ ხვალ დაბალლიგელ „ხირონას“ ეთამაშება, მაგრამ რაიკარდი სანაკრებო შეხვედრებში გამოძახებული ფეხბურთელების ჩანაცვლებას „ბარსელონა B“-ს ახალგაზრდებით აპირებს. ამათგან განსაკუთრებით ახლო წარსულში ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, მაზინიოს ვაჟი ტიაგო ალკანტარა გამოირჩევა. მეორე გუნდიდან მწვრთნელმა აგრეთვე მეკარე ოიერ ოლასაბალი და მოთამაშეები — ხეფრენი, ასულინი და ვიქტორ ვასკესი — მიიწვია.

**ლადო ხომერიკი**



კარლეს პუიოლი

AFP

ბერნდ შუსტერის მადრიდის „რეალი“ წლეულს ლაღად ბურთაობს. „სამეფო გუნდმა“ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში თანაქალაქელ „ატლეტიკოს“ მოუგო 2:1, ხოლო მეორეში „ვილიარეალი“ სტუმრად 5:0 გაანადგურა.

გუშინწინ, „ყვითლებთან“ ძლევამოსილად მოგებული მატჩის შემდეგ მადრიდულ „ასი“ „რეალის“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერსა და პრეზიდენტ რამონ კალდერონს გაესაუბრა.

# ბერნდ შუსტერი: შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ

— „რეალმა“ „ელ მადრიგალზე“ შესანიშნავ სტილში გაიმარჯვა...

— ეს ძალიან დიდი შრომის ფასად დაგვიჯდა. პირველ ტაიმში თამაში თანაბარი იყო და ბევრიც ვიბრძოლეთ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველი გოლის გატანა, რაც შევძელით. შესვენების შემდეგაც გუნდმა იაქტიურა, თამაშის განახლებიდან ხუთიოდე წუთი იყო გასული და ბიჭებმა უკვე ორი გოლი შეაგდეს, რამაც მატჩის ბედზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. საკმაოდ კარგად ვიბურთავეთ, კონტრშეტევებიც ძალიან სწრაფად განვახორციელეთ და აი, შედეგიც-

— ამის შემდეგ გუნდში ეიფორიის მოთოკვა მოგიწევთ...

— ჩვენ მეტოქის მინდორზე გავიმარჯვეთ, რთულ „ელ მადრიგალზე“ და „ვილიარეალსაც“ ამ მატჩამდე 17 შეხვედრაში წაგება არ ენახა. 5:0 მოგების შემდეგ ფეხბურთელები თავიანთ ნაკრებებს მშვიდად მიაკითხავენ. ამ ანგარიშით კმაყოფილები ვართ, სიხარულის მოთოკვა კი საჭირო არ არის, სტუმრად ასეთი ანგარიშით სეზონში ხშირად არ ვიგებთ ხოლმე.

— რა არის თანამედროვე მადრიდის „რეალის“ საიდუმლო?

— ყველაზე მეტად, რაც ამ გუნდში მომწონს, აქტიურობაა, ბიჭების სიბეჯითეა. „რეალის“ საფეხბურთო ფილოსოფია რთული არ არის — ყველა მუშაობს და ყველა ერთმანეთს ეხმარება, თუმცა გუნდის თამაშში რამდენიმე რამ კიდევ გამოსასწორებელია.

— ცხრილში პირველ ადგილზე ხართ...

— ლიდერობაზე მეტად „რეალის“ კარგმა თამაშმა გამახარა, თუმცა, როგორც გითხარით, თამაში კიდევ უნდა გამოვასწოროთ. ცხრილს პირველი 2-3 ტურის განმავლობაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს. რა თქმა უნდა, ლიდერობა კარგია, მაგრამ მთავარი ბრძოლები შემდეგ დაიწყება.

— უესლი სნეიდერმა ჯარიმიდან ბრწყინვალე გოლი გაიტანა...

— მახსოვს, წლების წინ „რეალში“ ერთი ქერა ბიჭი თამაშობდა და ზუსტად მსგავსი გოლები გაჰქონდა... სნეიდერმა მართლაც შესანიშნავი გოლი გაიტანა. ვიცით, რომ ჰოლანდიელი უძლიერეს და ეფექტურ დარტყმას ფლობს. ვფიქრობ, წლეულს უესლი მსგავს გოლებს კიდევ გაიტანს.

— ალბათ თქვენი გუნდის სუსტი წერტილი მაინც მარცხენა განაპირა მცველის პოზიციაა...

— როისტონ დრენტეს ველაპარაკე და ვუთხარი, რომ გუნდს უნდა დაეხმაროს და მწვრთნელის გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდოს. „ელ მადრიგალზე“ მან „რეალში“ განაპირა მცველად უკანასკნელი მატჩი ჩაატარა, აღმოჩნდა, რომ ეს არ არის დრენტეს პოზიცია. გაბრიელ ჰაინცე კი შეგიძლიათ, უკვე ძირითადი შემადგენლობის წევრად ჩათვალოთ.



AFP

# რამონ კალდერონი: ეს სწორედ ის „რეალია“, რომლის ხილვაც ინჩასებს სურდათ

— ლა ლიგაში უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდით — ორი გამარჯვება და ჩემპიონატის ცხრილის ლიდერობაც „რეალს“ ეკუთვნის...

— ჩვენი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, სწორი გზით მივდივართ, მაგრამ ზედმეტი ეიფორიაც არ არის საჭირო — წინ მთელი 36 მატჩი გვაქვს დარჩენილი. ბოლო რამდენიმე დღეა, უამრავი გულშემატკივარი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ეს სწორედ ის „რეალია“, რომლის ხილვაც ინჩასებს სურდათ. როდესაც ფანები ამას გეუბნებიან, ცხადია, კარგ გუნებაზე დგები.

— ამ გუნდს დიდი გამარჯვებების მიღწევა შეუძლია?

— „რეალით“ კმაყოფილი ვარ. გრძელვადიანი პროექტი გვაქვს და საჭიროა, ბერნდ შუსტერს მუშაობის საშუალება მივცეთ. ვფიქრობ, რომ სეზონის დასაწყისში მწვრთნელს უსაფუძვლოდ აკრიტიკებდნენ, ახლა ნათელია, რომ ჩვენი ოპონენტები ცდებოდნენ, ჩვენ კი სწორად ვმოქმედებდით. ტრანსფერების საქმეში თავიანთი ოსტატობა მიგელ ანხელ პორტუგალმა და პრედრაგ მიატოვიჩმაც დაამტკიცეს.

— გამოდის, ბერნდ შუსტერს სრულიად ენდობით...

— შუსტერი ჭკვიანი, საღად მოაზროვნე პიროვნებაა, საქმისთვის უკან არაფერზე იხევს და ამის გამო ხშირად უსიამოვნებებს აწყდება. ჩემი აზრით, მედია მას უსამართლოდ მოექცა. გაზეთებს ვკითხულობდი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი შუსტერთან ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებდა, მისი განადგურება სურდა. სეზონის დაწყებამდე ჩატარებული ამხანაგური თამაშების მიხედვით გუნდის სიძლიერის შეფასება არ შეიძლება. წლეულს „ბერნაბეუზე“ რვა ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ. მათ კი ადაპტაციისთვის დრო სჭირდებოდათ და დამხვდურებიც ხომ ახალ სისტემას უნდა შეჩვეოდნენ. პრესაში უცნაური სტატიები წავიკითხე, რომლებიც სიმართლისგან შორს იყო. ვიცი, რომ „რეალი“ საზოგადოების განსჯის ობიექტია და ძალიან ბევრი მხარდამჭერიც გვყავს. შუსტერის წარმატების გამო კი მოხარული ვარ.

— ახალი ფეხბურთელები ახსენეთ. ბოლოს და ბოლოს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბრძოლისუნარიანი შემადგენლობა მოვიდა?

— დიახ, შემადგენლობაში ხალხი არ გვაკლია. „რეალმა“ „ვილიარეალი“ 5:0 მაშინ დაამარცხა, როდესაც მადრიდში არიენ რობენი, კლეპერ პეპე და გონსალო იგუაინი დარჩნენ, ხოლო ხავიერ სავიოლა და რობერტო სოლდადო შუსტერს სათადარიგოებში ჰყავდა. ამ გუნდს კიდევ ბევრი შეუძლია, ხუთი გოლი შევაგდეთ, მაგრამ, წესით, კიდევ ოთხი უნდა გაგვეტანა. თანამედროვე „რეალი“ არ ჰგავს იმ გუნდებს, რომლებიც ერთი გოლის გატანის შემდეგ დაცვაში იკეტებიან და მეტოქის კარს აღარც უყურებენ. აი, ასეთი შემტევი და ლამაზად მოთამაშე „რეალი“ უყვართ გულშემატკივრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 მილიონიანი ცოლი




AFP

## ანრი ნიკოლს გაეყარა

**დაქორწინებიდან** ოთხ წელიწადში ტიერი ანრი ინგლისელ ცოლს, ნიკოლ მერის ოფიციალურად გაშორდა. 27 წლის ნიკოლი, მოდელი და ორი წლის ტეას დედა, 25 მილიონ გირვანქას მიიღებს. ცოლ-ქმარს აქვთ სახლი ჰემპსტიდში, რომელშიც ექვსი საძინებელი ოთახია. იგი ხუთი წლის წინ შეიძინეს.

წყვილმა ერთმანეთი „რენოს“ სატელევიზიო რეკლამისას გაიცნო და ისინი კარგა ხანს ტკბილადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ ზაფხულს, „ბარსელონაში“ გადასვლამდე, ანრიმ გაამხილა, რომ მეუღლეს შორდება. გოგომაც ოფიციალურად განქორწინება მოითხოვა, რაც ლონდონის სასამართლომ ერთ წუთში გააფორმა და ცოლ-ქმრის დასწრებაც სავალდებულო არ იყო.

ივლისში „სანმა“ დაწერა, ტიერი ანრი ესპანელ მსახიობ პას ვეგას ჰყვარობს, ვისთანაც ფეხბურთელი „რიბოკის“ რეკლამაში მონაწილეობდა. ანრის ჯამაგირი „ბარსაში“ კვირაში 130 ათასი გირვანქაა, პრიმერადივიზიონის ორ ტურში კი ჯერ გოლი არ გაუტანია. 25 მილიონი გირვანქა აქამდე არც ერთ განქორწინებულ ფეხბურთელს არ გადაუხდია.

**ვაჟა ხუციშვილი**




AFP

## ალონსო, გოლი და ნაიმედარი

**ხაბი ალონსო** ამბობს, რომ მისმა თანამემამულემ, მადრიდის „ატლეტიკოსგან“ ნაყიდმა ფერნანდო ტორესმა მის გუნდს, „ლივერპულს“ დიდი ძალა შემატა.

25 წლის ალონსომ ჟურნალისტებს განუცხადა:

„ვფიქრობ, ფენანდო მართლა ძალიან კარგად თამაშობს. ის პრემიერლიგას მეტისმეტად სწრაფად შეეგუა და ყველაზე დამაიმედებელიც სწორედ ეს გახლავთ, რადგან უცხო ქვეყნის ჩემპიონატში გადასვლა და მასთან შეგუება, მართლა დიდი პრობლემაა. ფერნანდო სწრაფია, ლონიერი და იმედი მაქვს, რომ ბევრ გოლსაც გაიტანს. მან უკვე დაამტკიცა, რომ პრემიერლიგისთვის დამახასიათებელი კონტაქტური თამაშისა არ ეშინია, რაც აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. აშკარაა, მას აქაური გამოწვევა სიამოვნებას გვრის და ცდილობს, ყველა კითხვას პასუხი გასცეს, რაც ჩვენთვის ძალიან კარგია“.




ფერნანდო ტორესი

AFP

გეხსომებათ, ფერნანდო ტორესში „ლივერპულმა“ 21, 5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. მისი დებიუტი ორი კვირის წინ, „ენფილდ როუდზე“ „ჩელსის“ წინააღმდეგ შეხვედრაში შედგა, რის შემდეგაც 23 წლის ტორესმა განაცხადა:

„მე სწრაფად ვსწავლობ და ჩემი თანაგუნდელებიც ფრიად მეხმარებიან. მეტიც, „ლივერპულში“ ყველა ცდილობს ხელი შემიწყოს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს „ლივერპულში“ მრავალი წელია რაც ვთამაშობ და აშკარაა, აქ დიდი ხნით დარჩენა მინდა. კმაყოფილი ვარ თანაგუნდელების, ფანების, ქალაქის, სტადიონის და რასაკვირველია, ძალიან გამახარა ჩემმა პირველმა გოლმა „ენფილდზე“. თუ ჩვენ ამჟამინდელი ფორმის შენარჩუნებას შევძლებთ, ვფიქრობ, დიდ მიზნებს მივაღწევთ, ხოლო რაც მეტია გამარჯვება, მით მეტია ახდენილი ოცნება“.

**ბაჩუნა ძიდია**

## მაკუამ ესკერო გააცურა

**სანტი ესკერომ** გალანძღა „ბილბაოს“ პრეზიდენტი ფერნანდო მაკუა. „ბარსას“ ბასკი თავდამსხმელი „ატლეტიკოს“ თავკაცს უპირობობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მაკუამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ფეხბურთელისადმი მიცემული სიტყვა არ შეასრულა.

ესკერომ თქვა, „ბილბაოში“ დაბრუნების გამო „ოსასუნას“ და კიდევ რამდენიმე გუნდს სატრანსფერო შემოთავაზებაზე უარი ვუთხარი, მეგონა, რომ პრეზიდენტი მაკუა დანაპირებს აასრულებდა და „სან მამესზე“ დამაბრუნებდაო.

„ამბობენ, რომ ფულს დავხარბდი და „ბარსელონაში“ ამიტომაც დავრჩი. ეს ტყუილია, სატრანსფერო სეზონის დახურვამდე „ბილბაოში“ წასვლისა მჯეროდა, თითქოს ყველაფერიც მოგვარებული იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ფერნანდო მაკუამ სულ სხვა პირობები შემომთავაზა და არა ის, რაზეც ადრე მოვილაპარაკეთ“ — განაცხადა სანტი ესკერომ.

ფორვარდმა „მარკასთან“ ისიც თქვა, თავის დროზე ფერნანდო მაკუა რომ საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობდა, ბლომად ფული შემომთავაზა, რათა ამომრჩეველთა წინაშე ჩემი სახელით ქულების ჩაწერა მოეხერხებინაო.

„მაშინ ფულზე უარი ვთქვი, მაგრამ „ბილბაოში“ დაბრუნებისა მაინც მჯეროდა. თუ „სან მამესზე“ ისევ მივიდოდი, ეს კლუბის გულისთვის იქნებოდა და არა პრეზიდენტისთვის“ — აღნიშნა ბასკმა მოიერიშემ, რომელიც „ბარსელონაში“ გადასვლამდე 7 წლის განმავლობაში ბურთაობდა „ატლეტიკში“.

ახლა ესკერო, რომელსაც კონტრაქტით „ბარსასთან“ კიდევ ერთი წლით უწევს თანამშრომლობა, „კამპ ნოუდან“ აბარგებას იანვრის სატრანსფერო ბაზრის პერიოდში აპირებს: „მაკუამ მომატყუა, როცა მისგან მოქმედება ყველაზე მეტად იყო საჭირო, ჩემს დასახმარებლად თითი თითზე არ დაუკარებია. ახლა იქნებ სამომავლო გუნდი იანვარში გამოვძებნო.“

**ლადო ხომერიკი**



სანტი ესკერო

## ლონდონიდან ლონდონში

**ლასანა დიარა** „ჩელსიდან“ „არსენალში“ იმიტომ გადავიდა, რომ „ლურჯთა“ შორის ძირითადი შემადგენლობისკენ გზას ველარ იკაფავდა.

დიარა 22 წლის ფრანგია, რომელიც „ემირატ სტედიუმზე“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 10 წუთით ადრე გადავიდა.

„მე თამაში მჭირდებოდა. მინდოდა მოედანზე მეტი დრო გამეტარებინა, მაგრამ „ჩელსიში“ ეს, უბრალოდ, შეუძლებელი გახლდათ. სწორედ ეს იყო ჩემი „სტემფორდ ბრიჯიდან“ წასვლის მთავარი მიზეზი.

„ჩელსის“ ძირითადში რომ მოვხვედრილიყავი, მიხაელ ბალაკისთვის, ფრენკ ლამპარდისთვის, კლოდ მაკელელესა და მიკაელ ესიენისთვის უნდა მეჯობნა. რასაკვირველია, ისიც კარგად ვიცი, რომ იოლი არც „არსენალის“ ძირითადში მოხვედრა იქნება. იმის გარანტია, რომ მუდამ მოედანზე ვიქნები, არსენ ვენგერს ჩემთვის არ მოუცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მწამს, პრემიერლიგაშიც მომიწევს დიდი მატჩებში მონაწილეობა და თვით ჩემპიონთა ლიგაშიც კი“.

აღსანიშნავია, რომ დიარამ უარყო „ტოტენჰემის“, „პორტსმუთის“, „ნიუკასლისა“ და „მონაკოს“ წინადადებები.

„საქმე ისაა, რომ ვიცოდი მისტერ ვენგერის ინტერესის შესახებ — განმარტა ნახევარმცველმა — ის „ჩელსიშიც“ მაკვირდებოდა და საფრანგეთის ნაკრებშიც. გარდა ამისა, მე „მეთოფეებში“ გადასვლა მირჩია უილიამ გალასმაც, რომელმაც ერთი წლის წინ ზუსტად იგივე გზა გაიარა“.

**ბაჩუნა ძიდია**

# ასავავატანპორნის განცხადება


AFP

ტაქსინ და პოჯამან შინავატრები

**ტაქსინ** შინავატრა ხომ იცით, „მანჩესტერ სიტის" ახალი მეპატრონე? თუ ასეა, ისიც მოგეხსენებათ, რომ ბატონი შინავატრა მანამდე ტაილანდის პრემიერ-მინისტრი გახლდათ და ახლა სამშობლოში დასაჭერად დასდევენ.

ჰოდა, სწორედ ამ მიმართულებით გვინდოდა წაგვეყვანა საუბარი: შინავატრასა და მის მეუღლეს ტაილანდზე ახალი პატიმრობა გამოუწერეს. როგორც გამომძიებელმა თქვა, ბატონ და ქალბატონ შინავატრებს ტაილანდის პოლიციის ძიების შედეგად, ახალი დარღვევები ედებათ ბრალად. აღსანიშნავია, რომ აქამდე, შინავატრების წყვილს კორუფციაში ადანაშაულებდნენ.

„სასამართლომ გამოიტანა დადგენილება მისი დაპატიმრების შესახებ — წერია საგანგებო საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის წარმომადგენლის, პორნჩაი ასავავატანპორნის განცხადებაში — ტაქსინი და მისი მეუღლე პოჯამანი თავიანთი ფირმის SC Assets Co Ltd-ს ქონებას მალავდნენ.

მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ ერთი წლის წინ ანუ მას მერე, რაც ტაქსინ შინავატრა, პოლიტჟარგონით რომ ვთქვათ ჩამოაგდეს, ის ბანგკოკში აღარავის უნახავს. სამაგიეროდ, უნახავთ მანჩესტერში, სადაც „სიტი" იყიდა.

ერთი სიტყვით, ტაილანდის ახლანდელმა მთავრობამ შინავატრა სასამართლოში ვერ შეიტყუა. ამაზე ვექილი ნოპადოლ პატამა აცხადებს, რომ მისი კლიენტი აუცილებლად ჩავა სამშობლოში, ოღონდ მას მერე, რაც იქ ახალი, სრულიად დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება.

**ბაბუნა ბედია**

# ვის გადააგდებ კოშკიდან?

## ოქროს ბუცის მერე ოქროს ბურთი

**ფრანჩესკო ტოტი** არ გამორიცხავს, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშოს. „რომას" ფეხბურთელი „ოქროს ბურთზეც" ოცნებობს და ჩემპიონთა ლიგის მოგებაზეც. მას კოჭთან ლითონის ფირფიტა უდევს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, წინა სეზონში 26 გოლის გატანაში, რამაც „ოქროს ბუცი" მოუტანა.

„კაკა, კრიშტიანუ რონალდუ და რუუდ ვან ნისტელროოი არიან „ოქროს ბურთის" კანდიდატები — თქვა ტოტიმ — მართალი გითხრათ, ჯერაც ვერ მივმხვდარვარ, თუ რა კრიტერიუმებით აფასებენ პრეტენდენტებს. მსოფლიოს ჩემპიონი ვარ, „ოქროს ბუციც" მაქვს და „ოქროს ბურთიღა" მაკლია. ჩემპიონთა ლიგაში თუ კარგად ვითამაშებ, ეგებ ეს ჯილდოც დავისაკუთრო".

გეცოდინებათ, „რომას" კაპიტანმა ამ ზაფხულს სანაკრებო კარიერა დაასრულა. „გაძეტა დელო სპორტის" კითხვაზე, დაბრუნდება თუ არა ნაკრებში 2010 წლის მუნდიალისთვის, თუ „სკუადრა აძურას" გაუჭირდება, ტოტიმ უპასუხა: „არ გამოვრიცხავ".

ყველაზე მეტად კი იტალიელს გულს უკლავს „მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მარცხი და რევანშზე ფიქრობს, რადგან ჯგუფში ერთად მოხვდნენ. რომში მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს, მაგრამ „ოლდ ტრაფორდზე" შერცხვნენ.

„ამჯერად მოგება მინდა, მაგრამ 7:1 კი არა, 7:0 — ბრძანა ტოტიმ — გაზეთები წერენ, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე" დაბრუნება „მანჩესტერისთვის" ჯოჯოხეთში გასეირნება იქნება, მაგრამ ამას ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ისინი ამას იმიტომ წერენ, რომ გაზეთი კარგად გაიყიდოს".

„რომა" შარშან 22 ქულით ჩამორჩა ჩემპიონ „ინტერს", რაზეც ტოტი ამბობს: „მათ 40 ფეხბურთელი ჰყავდათ და არჩევანიც დიდი ჰქონდათ, ჩვენ კი ლამის ერთი და იმავე შემადგენლობით ვთამაშობდით."

ამ ზაფხულს „რომამ" ლუდოვიკ ჟიული, ჟუანი, სისინიო, მაურო ესპოზიტო და მარკო ანდრეოლი შეიძინა და საკმაოდ გაძლიერდა: „ყველაზე მეტად „ლაციოს" დამარცხება მსიამოვნებს, მერე კი „იუვესთან" მოგება გამიხარდება. მათ კარგი გუნდი ჰყავთ და დიდი მიზნები აქვთ".

„გაძეტა დელო სპორტმა" ტოტის საბავშვო თამაშიც შესთავაზა — „ვის გადააგდებ კოშკიდან?" ანჩელოტის, რანიერისა და მანჩინისგან რომაელმა ანჩელოტი გადაარჩინა. ლუჩანო მოჯი და ფრანკო კარარო კოშკიდან გადაყარა, ისევე, როგორც პაველ ნედვედი და პაოლო დი კანიო. მატერაცის და კანავაროს შორის კი მატერაცი არჩია და კანავარო გადააგდო.

**გაჟა ხუციშვილი**




დელიო როსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დელიოს დარდი

„**ლაციოს**" მწვრთნელმა დელიო როსიმ დაიჩივლა, კლუბისგან უფრო მეტ აქტიურობას ველოდი სატრანსფერო საქმეებშიო. რომაულ გუნდს ტრავმების გამო ბევრი ფეხბურთელი დააკლდა სეზონის დასაწყისში და როსისაც ეს ადარდებს, რადგან სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავს.

„მურად მეგნი ჯერ 100 პროცენტით მზად არაა და ველოდებით, როდის მომჯობინდება. ჩვენ ამ ვითარებიდან როგორმე უნდა გამოვძვრეთ, თუმც გუნდს მებრძოლი სული არ დაეწუნება. ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, მოვიგებდით" — თქვა მწვრთნელმა „სამპდორიასთან" უგოლო მატჩის შემდეგ. რომაული კლუბის მცველ ემილსონ სანჩეს კრიბარის სახეზე კვლავ ეკეთა დამცავი ნიღაბი, გუნდს კი აკლდნენ დაშავებული სიმონე დელ ნერო, გილერმო სტენდარდო, სტეფანო მაური, მოდიბო დიაკიტე, ალექსანდრ კოლაროვი და სებასტიანო სივილია.

„ტომაზო როკიც აღარ ჰგავდა საკუთარ თავს „სამპდორიასთან" — განაცხადა როსიმ — სამშაბათს ბუქარესტის „დინამოსთან" უმძიმესი მატჩი გვქონდა და ბიჭები ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გამოიფიტნენ".

თუკი ასეა საქმე და მწვრთნელი თერთმეტ კაცს ვაი-ვაგლახით აგროვებს, სამ ტურნირს როგორ გაქაჩავს? ჩემპიონატს, ჩემპიონთა ლიგას და იტალიის თასს როგორ გასწვდება?

„სამწუხაროდ, სატრანსფერო ფანჯარა დახურულია — დაიწუწუნა დელიო როსიმ — მეგონა, რომ კლუბის შეფები უფრო მეტ მაღალი კლასის ფეხბურთელს შეიძენდნენ, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ ვინც გვყავს, იმით უნდა გავიტანოთ თავი. ამას უკვე შეჩვეული ვარ კარიერის განმავლობაში".

„ლაციოს" სპორტულმა დირექტორმა ვალტერ საბატინიმ წასვლა დააპირა, რადგან მისი სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკეს, მაგრამ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო არ უშვებს. როსის უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ „ლაციოს" ყოფილი ფეხბურთელი პასკუალე ფოჯა ახლა საუცხოო ფორმაშია, მაგრამ... „კალიარიში" თამაშობს. რობერტო დონადონიმ იგი ნაკრებში გამოიძახა საფრანგეთთან და უკრაინასთან მატჩებისთვის.

„მხოლოდ მე მჯეროდა ფოჯასი და მის დატოვებას ვითხოვდი, მაგრამ კლუბში ყური არავინ მიგდო" — გაამხილა ბოლოს როსიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კაპიტანი მწყობრში ჩადგა

„**ესპანიოლს**" ეშველა — რაულ ტამუდომ ტრავმა მოირჩინა და პრიმერადივიზიონის მესამე ტურში, „ხეტაფესთან" თამაშს შეძლებს. ბარსელონელთა კაპიტანმა და ლიდერმა „ლა ლიგის" პირველი ორი მატჩი მარცხენა ფეხის ტკივილის გამო გამოტოვა, რაც „ესპანიოლს" სასიკეთოდ ნამდვილად ვერ წაადგა, ტამუდოს გარეშე „ობლად" დარჩენილმა გუნდმა ჯერ „ვალიადოლიდთან" წააგო, ხოლო „ბეტისთან" ოდენ ფრე გაახერხა.


რაულ ტამუდო

„რაულ ტამუდო „ხეტაფესთან" მატჩში მოედანზე იქნება. ფეხბურთელის ტრავმა რთული არ იყო, მაგრამ არც უყურადღებობა შეიძლებოდა და ამდენ ხანსაც ამად მოვიცადეთ. ახლა ტამუდო სრულებით ჯანმრთელია" — განაცხადა „ესპანიოლის" მთავარმა ექიმმა მიგელ სერვერამ.

„ესპანიოლის" მეორე დაშავებული ფრანსისკო რუფეტე მადრიდელებთან მატჩში კვლავაც ტრიბუნაზე იქნება, რადგან ტრავმა ჯერ არ მოურჩენია. ასევე ტრავმირებულია ივან დე ლა პენიაც.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი კონფერენსი | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 27 | ფარსლი-კიდერმინსტერი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 22:45 | 28 | იორკი-ალტრინჰემი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 22:45 | 29 | დროილსდენი-სტივენეიჯი | 3.80 | 3.50 | 1.70 | 1.82 | 1.17 | 1.14 |
| 22:45 | 30 | ტორკი-სალისბერი | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| 22:45 | 31 | ოქსფორდი-ექსეტერი | 1.90 | 3.40 | 3.25 | 1.21 | 1.19 | 1.66 |
| 22:45 | 32 | კემბრიჯი-გრეისი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 22:45 | 33 | რაშდენი -ქროული | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 22:45 | 34 | ებსფლითი-ჰისტონი | 1.80 | 3.40 | 3.60 | 1.17 | 1.20 | 1.74 |
| 22:45 | 35 | ნორთვიჩი-ბარტონი | 2.85 | 3.30 | 2.10 | 1.52 | 1.20 | 1.28 |
| 22:45 | 36 | ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 37 | უოკინგი-ვეიმუთი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 26 | სტ.რეინჯერსი-ჰალიფაქსი | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 19:45 | 52 | ვერლი-ობერჰაუზენი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 21:30 | 53 | კოტბუსი(მ)-დორტმუნდი(მ) | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 16:00 | 54 | ვუპერტალი-ვოლფსბურგი(მ) | 1.40 | 3.90 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.36 |
| 21:30 | 55 | ესენი-ბრაუნშვაიგი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:30 | 56 | უნ ბერლინი-ბაბელსბერგი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 21:30 | 57 | მაგდებურგი-ლიუბეკი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 21:30 | 58 | დინამო-დიუსელდორფი | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 20:00 | 59 | ჰამბურგი(მ)-ალენი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 21:45 | 78 | ვადუცი-კიასო | 1.60 | 3.30 | 4.20 | 1.07 | 1.15 | 1.84 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 1.90 | 3.20 | 3.35 | 1.19 | 1.21 | 1.63 |
| 21:00 | 223 | იორგრიტე-სილვია | 1.55 | 3.40 | 4.50 | 1.06 | 1.15 | 1.93 |
| 21:00 | 224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.30 | 4.30 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.58 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 225 | სირიუსი-ჰეკენი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 335 | რივერ პლეიტი-ნიუელზი | 1.50 | 3.40 | 5.40 | 1.04 | 1.17 | 2.08 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 202 | კორინთიანსი-ამერიკა | 1.20 | 4.70 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.02 |
| 23:45 | 203 | ფლამენგო-ფიგეირენსე | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| 23:45 | 204 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1.60 | 3.30 | 4.70 | 1.07 | 1.19 | 1.93 |
| 23:45 | 205 | გრემიო-ვასკუ და გამა | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 206 | ჟუვენტუდი-კრუზეირო | 2.75 | 3.10 | 2.10 | 1.45 | 1.19 | 1.25 |
| 23:45 | 207 | სანტოსი-ინტერნასიონალი | 1.60 | 3.20 | 4.50 | 1.06 | 1.18 | 1.87 |
| 23:45 | 208 | ატლეტიკო მნ-სან პაულუ | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 199 | ბოტაფოგო-პალმეირასი | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.13 | 1.21 | 1.68 |
| 23:45 | 200 | პარანა-ნაუტიკო | 1.60 | 3.30 | 4.60 | 1.07 | 1.18 | 1.92 |
| 23:45 | 201 | სპორტ რისაიფი-ფლუმინენსე | 1.90 | 3.20 | 3.20 | 1.19 | 1.19 | 1.60 |
| | | სამხრეთ ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 332 | აუდაქსი-კოლო კოლო | 2.50 | 3.10 | 2.30 | 1.38 | 1.19 | 1.32 |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 333 | ესტუდიანტესი-ლანუსი | 1.60 | 3.20 | 4.00 | 1.06 | 1.14 | 1.77 |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 334 | სან ლორენსო-არსენალი | 1.40 | 3.70 | 5.40 | 1.01 | 1.11 | 2.19 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 318 | სუონსი-მილუოლი | 1.90 | 3.15 | 3.30 | 1.18 | 1.20 | 1.61 |
| 22:00 | 319 | სუინდონი-ბრენტფორდი | 1.70 | 3.35 | 3.70 | 1.12 | 1.16 | 1.75 |
| 22:00 | 320 | ტრანმერე-მორიკომბი | 1.45 | 3.45 | 5.30 | 1.02 | 1.13 | 2.08 |
| 22:15 | 321 | ჩესტერი-ქრიუ | 2.45 | 3.15 | 2.35 | 1.37 | 1.19 | 1.34 |
| 22:15 | 322 | ნოტინგემი-პიტერბრო | 1.65 | 3.30 | 4.00 | 1.10 | 1.16 | 1.80 |
| 22:15 | 323 | იოვილი-შრიუსბერი | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| 22:30 | 324 | ჩესტერფილდი-ჰარტლპული | 2.40 | 3.30 | 2.35 | 1.38 | 1.18 | 1.37 |
| 22:45 | 325 | აკრინგტონი-ოლდემი | 3.00 | 3.15 | 2.00 | 1.53 | 1.20 | 1.22 |
| 22:45 | 326 | ბორნმუთი-უოლსოლი | 1.90 | 3.30 | 3.10 | 1.20 | 1.17 | 1.59 |
| 22:45 | 327 | დონკასტერი-ბრედფორდი | 1.55 | 3.40 | 4.50 | 1.06 | 1.15 | 1.93 |
| 22:45 | 328 | გრიმსბი-ჰადერსფილდი | 2.60 | 3.30 | 2.15 | 1.45 | 1.17 | 1.30 |
| 22:45 | 329 | ლუტონი-ნორთჰემპტონი | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| 22:45 | 330 | მენსფილდი-როტერჰემი | 2.30 | 3.30 | 2.45 | 1.35 | 1.18 | 1.40 |
| 22:45 | 331 | საუთენდი-დაგ ენდ რედი | 1.50 | 3.40 | 5.15 | 1.04 | 1.16 | 2.04 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 310 | ისტ.სტირლინგი-ქუინზ პარკი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 22:45 | 311 | ერდრი-არბროთი | 1.55 | 3.70 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.03 |
| 22:45 | 312 | ფორფარი-ეარი | 3.80 | 3.50 | 1.70 | 1.82 | 1.17 | 1.14 |
| 22:45 | 313 | მონტროუზი-ბრეჩინი | 2.55 | 3.50 | 2.15 | 1.47 | 1.16 | 1.33 |
| 22:45 | 314 | პარტიკი-ბერიკი | 1.50 | 3.70 | 4.80 | 1.06 | 1.14 | 2.08 |
| 22:45 | 315 | პიტერჰედი-მორტონი | 2.85 | 3.50 | 2.00 | 1.57 | 1.17 | 1.27 |
| | | 5 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 316 | კლაიდი-დანფერმლაინი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 22:45 | 317 | როსი-სტ ჯონსტონი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 4 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 263 | ს.იულაევი-ცსკა | 1.30 | 4.30 | 3.50 | 1.00 | 1.00 | 1.92 |
| 16:30 | 265 | მაგნიტოგორსკი-ხიმიკი | 1.45 | 4.30 | 3.00 | 1.08 | 1.00 | 1.76 |
| 16:30 | 266 | ტრაქტორი-აკ | 2.10 | 4.10 | 1.85 | 1.38 | 1.00 | 1.27 |
| 15:30 | 267 | სიბირი-ლოკომოტივი ი | 1.90 | 4.00 | 2.10 | 1.28 | 1.00 | 1.37 |
| 14:30 | 268 | ნოვოკუზნეცკი-სევერსტალი | 1.90 | 4.00 | 2.10 | 1.28 | 1.00 | 1.37 |
| 16:00 | 269 | ავანგარდი-დინამო | 1.45 | 4.30 | 3.00 | 1.08 | 1.00 | 1.76 |
| 19:00 | 270 | სპარტაკი მ-მვდ | 2.10 | 4.00 | 1.90 | 1.37 | 1.00 | 1.28 |
| 19:00 | 271 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2.20 | 4.20 | 1.85 | 1.44 | 1.00 | 1.28 |
| 10:30 | 272 | ამური-აკ ბარსი | 3.10 | 4.10 | 1.40 | 1.76 | 1.00 | 1.04 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 2.30 | 2.00 | 3.75 | 1.06 | 1.42 | 1.30 |
| 10223 | იორგრიტე-სილვია | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10225 | სირიუსი-ჰეკენი | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 16.00 | 5.60 |
| 11223 | იორგრიტე-სილვია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 14.00 | [illegible] |
| 11225 | სირიუსი-ჰეკენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 1.90 | 1.60 |
| 12223 | იორგრიტე-სილვია | 1.90 | 1.60 |
| 12224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.90 | 1.60 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 1.70 | 2.20 |
| 14223 | იორგრიტე-სილვია | 1.45 | 2.40 |
| 14224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.08 | 2.90 |
| 14225 | სირიუსი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 1.85 | 1.95 |
| 17223 | იორგრიტე-სილვია | 1.85 | 1.95 |
| 17224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17225 | სირიუსი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე**

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 1.34 | 2.80 |
| 16223 | იორგრიტე-სილვია | 1.24 | 3.60 |
| 16224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.08 | 5.00 |
| 16225 | სირიუსი-ჰეკენი | 1.75 | 1.85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15222 | ლანდსკრონა-ბანკეფლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | იორგრიტე-სილვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15225 | სირიუსი-ჰეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

კალათბურთი

# ლევან მოსეშვილი: ჩემს დროს რომ ასეთი პირობები ყოფილიყო...



**ამ დღეებში მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა საქართველოს ჩემპიონატში — გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშოდ დასახელებული კოტე ტულუში რუსთავის „აზოტიდან" „ავიამშენში" გადავიდა. კოტე საპატიო მიზეზით არ ვარჯიშობდა „ავიატორებთან": ის ნაკრებში იყო გამოძახებული და ოთხიდან სამ საკვალიფიკაციო მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამ ტრანსფერის შესახებ თავად „ავიამშენის" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა გვამცნო, რომელიც ადრე ეროვნულ გუნდსაც თავკაცობდა და მას რომ დავუკავშირდით, სანაკრებო ამბებზეც ვესაუბრეთ**

## ტულუში ავიაციაში წავიდა



— ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საქართველოს ნაკრები A დივიზიონში აინაცვლებდა, მაგრამ ეს კი არა, ჯგუფიდან გასვლაც ვერ მოვახერხეთ. მართალია, ჯერ კიდევ აა შანსი, მაგრამ არა მგონია, შვეიცარიამ შინ რუმინეთთან წააგოს.

**— რას ფიქრობთ, რატომ მივიდა საქმე აქამდე?**

— ისლანდიასთან რომ წააგებ, ცუდად იქნება საქმე, აბა, როგორ. დღესაც ვერ მივმხვდარვარ, როგორ შეიძლებოდა იმ თამაშის დათმობა. ეს იყო არასწორი ტაქტიკის ბრალი, რაშიც მწვრთნელზე მეტად მოთამაშეები არიან დამნაშავენი. ეჭვი არ მეპარება, რომ კენ შილდსი სწორ დავალებას მისცემდა ნაკრების წევრებს, მაგრამ ზოგიერთმა თავი ვერ გაართვა ამოცანას. მართალია, ნათქვამია, თამაშს მწვრთნელი აგებსო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არგუმენტი ამ შემთხვევაში უადგილოა.

**— ესე იგი, კენ შილდსის მუშაობას დადებითად აფასებთ...**

— მჯერა, რომ ამ ადამიანმა არაფერი დაიშურა, საქართველო რომ ჯგუფიდან გაეყვანა, მაგრამ არ გამოუვიდა. ჩემი აზრით, არასწორი ნაბიჯი ის იყო, რომ ნაკრების თავკაცად მთავარი მწვრთნელის თანაშემწე დაინიშნა. მეორე მწვრთნელს თავისი დანიშნულება აქვს და, ჩემი აზრით, ის ვერასდროს შეცვლის სრულფასოვნად პირველს. ეს ჩემი აზრია, თუმც გორდონ ჰერბტი ისეთ დროს წავიდა, ალბათ ფედერაციას სხვა გზა აღარ ჰქონდა.

**— როგორ შეაფასებდით ფედერაციის მუშაობას?**

— ფედერაციამ ყველა პირობა შეუქმნა ნაკრებს — მოუწყო ხანგრძლივი უცხოური შეკრება, არაერთი საერთაშორისო ტურნირი, იდეალური სავარჯიშო პირობები... მე რომ ნაკრებში მუშაობისას ასეთი პირობები მქონოდა, შესაძლოა, ახლა A დივიზიონში ვყოფილიყავით. რაღა მე, თავად ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს რომ ასეთი მხარდაჭერა ჰქონოდა მაშინ, როცა ის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში, ქართული კალათბურთის დონე ახლა გაცილებით მაღალი იქნებოდა.

**— თქვენი აზრით, იდეალური შემადგენლობა იყო თავმოყრილი?**

— მხოლოდ ერთ რამეზე გავამახვილებ ყურადღებას: ჩემი აზრით, ნიკოლოზ ცქიტიშვილი აუცილებლად უნდა წაეყვანათ ისლანდიაში, თუნდაც უვარჯიშებელი. ჭნიკა ისედაც აჯობებდა ნაკრების ნახევარზე მეტს. ვფიქრობ, ამაზე ერთი ამბავი უნდა ატეხილიყო და ასე ჩუმად არ უნდა ჩაფარცხულიყო ცქიტიშვილის ნაკრებს მიღმა დარჩენა. ასეთ შემთხვევაში, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, მწვრთნელს ალბათ მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა და მოთამაშისთვის დაეთმო. „ცქიტო" შეიძლება არასწორად მოიქცა, მაგრამ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაკრების თავკაცებს მაინც უნდა ეპატიებინათ.

**— ნაკრებში იყო გამოძახებული „ავიამშენის" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ბაბიაშვილი, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში მხოლოდ ლუქსემბურგთან ითამაშა რამდენიმე წუთი...**

— ზვიადი „ავიამშენში" აღარ ითამაშებს. ისეთ ტანმაღალ გუნდებთან, როგორებიც ავსტრია და ფინეთია, ბაბიაშვილი ნაკლებად სასარგებლო იქნებოდა, თუმც, ვფიქრობ, ისლანდიაში რომ არ ათამაშეს, ძალიან შეცდნენ. ზვიადი შედარებით ტანმორჩილი მეფარეა და გამოჩნდა, რომ ისლანდიაში ის საჭირო იყო. ხომ ნახეთ, როგორ ეთამაშებოდნენ ფაჩულიას — ის ფარქვეშიდან განდევნეს, ხოლო საჯარიმოს გარედან მისგან ნაკლები საფრთხე იყო. ბაბიაშვილი ჯანით გაიტანდა თავისას და ფარქვეშ ადგილს დაიმკვიდრებდა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს უნდა ეცადა ბაბიაშვილის გამოყენება.

**— „ავიამშენის" ამბებიც ბაბიაშვილის წასვლით დავიწყოთ...**

— დამთავრდა თუ არა სეზონი, ყველა მოთამაშეს ვუთხარი, თუ წასვლა გინდათ, მალე გამაგებინეთ, რათა გუნდის დაკომპლექტება დავგეგმოთ-მეთქი. ბაბიაშვილმა, ირაკლი კეიდიამ, ტყუპმა ბერიშვილებმა და ლაშა ლოსაბერიძემ თავიდანვე გამოთქვეს წასვლის სურვილი, თუმც არანაკლები შევსება მივიღეთ. „ავიამშენში" ითამაშებს კოტე ტულუში, რომელიც შარშანწინ ჩვენს გუნდში საქართველოს ჩემპიონი გახდა. მასთან ერთად „აზოტიდან" გადმოვიყვანეთ ვახტანგ მინაშვილი. თსუ-ის თავდამსხმელებითაც გავძლიერდით — დავით იმნაძე და ლუკა შანიძე საკმაოდ გააძლიერებენ „ავიამშენს". ჩვენთან ვარჯიშობს დაშლილი სტუ-ს ლიდერი ნოდარ ბერაია, რომელსაც ჯერ ვაკვირდებით და თუ მოგვეწონა, შევიმატებთ.

**— როდიდან ვარჯიშობთ, თუ გეგმავთ უცხოურ შეკრებას?**

— 1 აგვისტოდან შევიკრიბეთ. თავიდან ფიზიკურად ვემზადებოდით, ახლა კი ბურთით ვვარჯიშობთ. თუ ფინანსები გამოგვიჩნდა, შესაძლოა, სირიაში წავიდეთ საერთაშორისო ტურნირზე.

**— რისთვის იბრძოლებთ მომავალ ჩემპიონატში?**

— გასულ სეზონში ფინალში გავედით და იმის გათვალისწინებით, რომ უფრო გავძლიერდით, ამაზე ნაკლებ შედეგს ნამდვილად არ ვგეგმავთ. თუმცა ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, სხვა გუნდები დაკომპლექტების სტადიაში არიან.

**ირაკლი პერტაია**

ძიუდო



# კედელა პიკს რიოში უმიზნებს

**ქართველი ძიუდოისტებიდან წლევანდელი სეზონი ყველაზე წარმატებული ზაზა კედელაშვილისთვის გამოვიდა. 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ლიდერმა აპრილში ევროპის ჩემპიონატი წაუგებლად ჩაიჭიდავა და ზედიზედ მეორედ გახდა ევროჩემპიონი. ამასთან წლის სპორტსმენობისკენაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 2006 წლის საუკეთესო ქართველი ახლა ჯილდოს შენარჩუნებაზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობს, თუმცა სეზონის ოქროს დუბლი რომ კვლავ სხვებისთვის მიუწვდომელს გახდის, ესეც კარგად იცის. რიო დე ჟანეიროს ტატამზე „კედელა" 15 სექტემბერს გავა. ინტერვიუ კი რამდენიმე დღის წინ, ძიუდოისტთა ბორჯომული შეკრების დასრულების შემდეგ ჩავწერეთ**

**— ქართული სამზადისი დასრულდა, როგორ ფორმაში ხარ?**

— ყველა შეკრება სრულყოფილად გავიარე. საბედნიეროდ, ხელი არც ტრავმიანობას შეუშლია და თავს ნორმალურად ვგრძნობ, თუმცა სრულ საბრძოლო ფორმამდე ჯერ მაინც მიკლია და პიკს დასკვნით შეკრებაზე უნდა მივაღწიო.

**— დასკვნით შეკრებას ბრაზილიაში გაივლით. ხომ არ გერჩივნა, საქართველოში გევარჯიშა და რიოში ტურნირის წინ ჩასულიყავი?**

— არავითარ შემთხვევაში. ბრაზილიაში ვარჯიში ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა საქართველოდან შორსაა და ტურნირის დაწყებამდე ათი-თორმეტი დღით ადრე ჩასვლა აკლიმატიზაციაში დაგვეხმარება. ყველა შეკრებაზე მშვენიერი პირობები გვქონდა. დარწმუნებული ვარ, დასკვნითზეც ასე იქნება და ბიჭები ტურნირს საუკეთესო ფორმით შევხვდებით.

**— დამოუკიდებელ საქართველოს ძ..უდოში მსოფლიოს ჩემპიონი ჯერ არ ჰყოლია. შანსი გაქვს, პირველი გახდე...**

— მსოფლიოს ჩემპიონობა უდიდესი ბედნიერებაა. მით უმეტეს, როცა ასეთი დატვირთვაც ემატება, მაგრამ მე ტურნირზე მესამე დღეს ვჭიდაობ. ჩემამდე ტატამზე ოთხი ქართველი ძიუდოისტი გავა და იმედია, რომელიმე მათგანი შევა ისტორიაში, როგორც პირველი მსოფლიოს ჩემპიონი. უბედნიერესი ვიქნები, თუ ასე მოხდება. ოქროს მედალი ავიღო და ნამდვილად არ დავიწყებ იმაზე ფიქრს, პირველი ვიქნები თუ მეხუთე.

**— რეალურად როგორ შეაფასებ ნაკრების შანსებს?**

— პროგნოზების გაკეთება და დაკონკრეტება არ მინდა. ისე, გულწრფელად გეტყვით, მედლისთვის ბრძოლა რვავე ქართველს შეგვიძლია. რა და როგორ იქნება, ტატამზე გამოჩნდება.

**— მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

— ასეთი რამდენიმეა, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე სერიოზული შანსი მათ შორის ბრაზილიელ ჟოაო დერლის აქვს. ოლიმპიური ჩემპიონი ხომ საკუთარ კედლებში იჭიდავებს.

**— ახლახან, საერთაშორისო ტურნირზე ჩვეულზე ერთი წონით მაღლა, 73 კილოგრამში იჭიდავე. რატომ არ დაიკელი 66-მდე?**

— გერმანიაში ჩემთვის მთავარი სატურნირო გამოცდილების გაზრდა... 

— გერმანიაში ჩემთვის მთავარი სატურნირო გამოცდილების გახსენება იყო და ეს 73 კილოგრამშიც შეიძლებოდა. წონის დაკლება აუცილებელი არ იყო და გადაწყვეტილება მწვრთნელებთან ერთად მივიღე.

**— დიდი შანსია, ბრაზილიური ოქროთი ზედიზედ მეორედ გახდე საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი...**

— ყველა ტურნირზე უმაღლეს შედეგზე ვფიქრობ. რიოშიც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ. წლის სპორტსმენობაზე ფიქრი კი ჯერ ძალიან ადრეა. სექტემბერში ხომ მსოფლიოს ჩემპიონატები ძიუდოს გარდა ჭიდაობასა და ძალოსნობაშიც იმართება და ამ სახეობებშიც უძლიერესი სპორტსმენები გვყავს.

**ოთარ გალლაკელიძე**

რაგბი

# უკეთ, ვიდრე წინა თასზე!

**მსოფლიოს** თასის დაწყებამდე სამიოდ დღე რჩება, საქართველოს ნაკრებს კი პირველი მატჩი 11 სექტემბერს აქვს მძლავრ არგენტინასთან.



ჩვენები უკვე ერთი თვეა, საფრანგეთში გადიან მსოფლიოს თასისწინა შეკრებას და ხუთი სპარინგ-მატჩიც ითამაშეს. „ლელოები" ფრანგულ ელიტარულ კლუბებს, „აჟენის" ძირითად და ახალგაზრდულ გუნდებს, ორჯერ „ოშს" და ერთხელაც „ალბის" ერაგბნენ.

ქართველებმა ხუთივე საკონტროლო მატჩი წააგეს, თუმც მოსამზადებელ ეტაპზე ეს ჩვეულებრივი ამბავია, თანაც „ლელოებმა" ყველა მატჩი შერეული შემადგენლობით ითამაშეს.

ახლა „ლელოები" ნიმში არიან და ხვალ დაასრულებენ ერთკვირიან შეკრებას. მერე კი ლიონში ჩაფრინდებიან, სადაც გაშლიან ბანაკს და ერაგბებიან არგენტინელ პუ და.

„ახლა უკვე ინტენსიური ვარჯიშები აღარ გვაქვს. რამდენიმე მორაგბეს მიკროტრავმები კი აწუხებს, მაგრამ საგანგაშო არაფერია. გუნდი მზად არის მსოფლიოს თასისთვის და დარწმუნებული ვართ, წინა ჩემპიონატზე ბევრად უკეთესად გამოვალთ" — გვითხრა ჩვენი ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ, საფრანგეთში რომ შევეხმიანეთ.

**ბაჩო სგანიძე**

ოლიმპიზმი

# პატარა ოლიმპიადის დიდი ვნებანი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის წლევანდელ სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დაფუძნება, რომელიც დიდი ოლიმპიადებივით „მწვანეც" იქნება და „თეთრიც". იმავე სესიაზე პირველი თამაშების დროც დათქვეს — 2010 წელი, მასპინძლის ვინაობაზე კი არც უმსჯელიათ, რადგან იგი კანდიდატი ქალაქებიდან სამომავლოდ უნდა აირჩიონ. აღმოჩნდა, რომ პირველი თამაშების ჩატარების სურვილს შვიდი ქალაქი გამოთქვამს, მათ შორის მოსკოვი, რომელმაც შესაბამისი განაცხადის გაგზავნა გუშინ, რუსეთის დედაქალაქის დუმის დეპუტატებმა თავიანთ რიგგარეშე და საზაფხულო არდადეგების მერე პირველ სხდომაზე გადაწყვიტეს.



საინტერესოა, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ როცა სოჭის შანსებზე მსჯელობდნენ, საკულისო საუბრებში ზოგი ექსპერტი ვარაუდობდა, რუსეთის ამ ქალაქს ოლიმპიადას არავინ მისცემს, „ჩრდილოელ დათვს" ამბიციებს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დათმობით დაუკმაყოფილებენო.

ვარაუდი, როგორც იცით, არ გამართლდა, ახლა კი მოულოდნელობებით აღსავსე ამ დედამიწაზე აღარც ის იქნება გასაკვირი, რომ რუსეთს ეს პატარა ოლიმპიადაც უბოძონ, მით უმეტეს, რომ მოსკოვს მსგავსი შეჯიბრებების მიღების გამოცდილება აქვს.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვმა 1998 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მფარველობით მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებს უმასპინძლა, რომელშიც 131 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

რაკი სიტყვა საქართველოზე ჩამოვარდა, იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის დელეგაციამ მედლების სიმრავლით მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო ჯილდოების ხარისხობრივი მაჩვენებლებით მეთორმეტე აღმოჩნდა.

საქართველოს მოსკოვური მონაგარი ასეთი იყო: ორი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და თერთმეტი ბრინჯაოს მედალი.

მაშინდელი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა მოსკოვის თამაშების შეფასებისას და მის მომავალზე საუბრისას თქვა:

„ასეთი თამაშები ძალიან კარგი წამოწყებაა. აქ იკვეთება ქვეყანათა ნაკრები გუნდების მომავალი, მათი ძირითადი ბირთვი, რომელმაც მომავალში უნდა დაიცვას თავისი ქვეყნის სახელი ოლიმპიურ თამაშებზე თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ამგვარი ასპარეზობის მომავალი დამოკიდებულია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე, რომელიც ამ თამაშებს ალბათ ძალიან კარგ შეფასებას მისცემს. ვფიქრობ, ამგვარ შეჯიბრებებს დიდი მომავალი აქვს."

ამ მომავლის დაფუძნებამ მთელი ცხრა წელი დაიგვიანა და ახლა მის ერთ-ერთ სავარაუდო მასპინძელზე ვსაუბრობთ.

მოსკოვის დუმის თავმჯდომარე ვლადიმერ პლატონოვი ამბობს, ჩვენი დედაქალაქი ასეთი შეჯიბრებების ჩასატარებლად მაშინაც მზად იყო, როცა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ვიბრძოდით, მაგრამ მაშინ ლონდონმა გვაჯობაო. მან ისიც აღნიშნა, რომ საოლიმპიადოდ აშენებული ყველა სპორტული ნაგებობა ოლიმპიადის მერეც დარჩება და დანიშნულებისამებრ იმუშავებს. იმ ბაზების მშენებლობა, რომლებიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის იყო განკუთვნილი, მალე დასრულდებაო.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

**7 სექტემბერს საფრანგეთში რიგით მეექვსე მსოფლიოს თასი იწყება. საქართველო აღარაა ამ უდიდესი სარაგბო ფორუმის დებიუტანტი, „ლელოებმა“ 2003 წლის თასზე თამაშით ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინეს და სარაგბო პლანეტას თავიც წარუდგინეს. საქართველო D ჯგუფშია, ჩვენ კი მანამდე სხვა ჯგუფებს წარმოგიდგენთ**

**A ჯგუფი**

ინგლისი
ს. აფრიკა
სამოა
აშშ
ტონგა

## ინგლისი

მსოფლიო რეიტინგი: 7

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — მეოთხედფინალში წააგო უელსთან

1991 — ფინალში წააგო ავსტრალიასთან

1995 — ნახევარფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან; მე-3 ადგილისთვის წააგო საფრანგეთთან

1999 — მეოთხედფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან

2003 — ჩემპიონი

**უკანა ხაზი:** მარკ კუეტო, პოლ საკი, ჯოშ ლუსი, ჯეისონ რობინსონი, მეტიუ ტაიტი, დან ჰიპკისი, ჯეიმი ნუნი, მაიკ ქეთი, ენდრიუ ფარერი, ოლი ბარკლი, ჯონი უილკინსონი, შონ პერი, ენდი გომარშალი, პიკერ რიჩარდსი

**მორკინალები:** ენდრიუ შერიდანი, პერი ფრეშუოტერი, ფილ ვიკერი (კაპ), მეტიუ სტივენსი, მარკ რეგანი, ჯორჯ შუტერი, ლი მირსი, საიმონ შოუ, სტივ ბორტვიკი, ბენ კეი, მარტინ ქორი, ლუის მუდი, ჯო უორსლი, ტომ რიისი, ნი კისტერი, ლოურენს დალალიო

**მწვრთნელი:** ბრაიან ეშტონი



### ვარდი უეკლოდ

AFP

**როდესაც** ზოგადად რაგბის არსზე ვსაუბრობთ, იქ ინგლისის არხსენება ნამდვილი სიბრიყვეა. მე-19 საუკუნეში, ამ უდიდეს გამოგონებათა ეპოქაში ინგლისურ გონებაში იშვა ველოსიპედი, ორთქლის ძრავანა, ფეხბურთი და კიდევ მრავალი დიდებული რამ. რაგბის ფესვებიც შორეულ 1860-იან წლებშია გადგმული. უილკინსონის, დალალიოს, ქარლინგისა და ჯონსონის მობურთალ წინაპართა გვარ-სახელები ისტორიამ ნისლით დაფარულ ხასხასა ველ-მინდვრებში ჩაკარგა. მატიანეს შემორჩა მხოლოდ მისტიური უილიამ „ვებ“ ელისი, რომელმაც ლეგენდის თანახმად ფეხბურთის თამაშის დროს ბურთს ხელი დასტაცა, გააქანა და მოწინააღმდეგის კარში დადო.

ალბიონელებმა პირველი ოფიციალური მატჩი მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამართეს, იქამდე კი გაუშალაშინებელ რაგბის ბურთაოდნენ. ინგლისელმა მეზღვაურებმა, მისიონერებმა თუ ჯარისკაცებმა მატერიკებსა და კუნძულებზე, ბრიტანულ კოლონიებში ინგლისურ კულტურასთან ერთად ნესვა ბურთი და რაგბის ანბანა შეიტანეს. მას შემდეგაა, რომ პლანეტის მთელ სამხრეთ ნახევარსფეროს ქრონიკული ოვალური ვირუსი შეეყარა და ახალზელანდიელი თუ სამხრეთაფრიკელი პატარა ბიჭების სანუკვარი ოცნება და საყვარელი საქმიანობა ამ უცნაური ბურთის დევნა გახდა და სამმა სამხრეთულმა ყოფილმა კოლონიამ დედა-ინგლისს ბურთაობაში წინაც გაუსწრო.

1883 წლიდან დიდ ბრიტანეთში პირველად გაიმართა ეროვნებათა შიდა ჩემპიონატი — ახლანდელი ექვსი ერის პირველობის წინამორბედი. ეს ტურნირი ინგლისმა 25-ჯერ მოიგო, მაგრამ თუ გინდა, რომ პლანეტაზე უძლიერესის სახელი მოიხვეჭო, მსოფლიოს თასი უნდა მოიგო, თასის მოლოდინმა კი 16 გრძელი წელი და 5 ჩემპიონატი გასტანა. 2003 წელს ინგლისური რაგბის ოქროს თაობამ კლაივ ვუდვორდის თაოსნობით ნანატრი ჯილდო და დიდება მოუტანა რაგბის მშობელ ერს. მსოფლიოს თასის მასპინძელ ავსტრალიასთან უდრამატულეს ფინალში თეთრ მაისურზე წითელვარდაფეთქებულმა ჯადო ჯონი უილკინსონმა 119-ე წუთზე მომაკვდინებელი არეკნი დაჰკრა და თასი პირველად წაართვა სამხრეთელ ვეშაპებს.

მას შემდეგ მხოლოდ მხოლოდ ოთხი წელი გავიდა, მაგრამ ინგლისისთვის ეს ბედნიერი ხანა თითქოს ღრმა ისტორიაში დარჩა. ღლევანდელ ნაკრებს იმ უძლიერესი გუნდისა თითქმის არაფერი სცხია. გმირები რაგბის ჩამოშორდნენ, უილკინსონი კი ისე დაიმტვრა, რომ სრულიად გამოტოვა 2004-2006 წლები. ახლა ის თითქოს ჯანზეა, მაგრამ ზურგს ველარ უმაგრებენ ძველებურად. მარჯვნივ და მარცხნივ ისმის, რომ „ვარდები“ ვერ შეინარჩუნებენ თასს. ახლანდელ მწვრთნელ ბრაიან ეშტონს აშკარად უდგას ძირითადი თხუთმეტეულის პრობლემა, ანუ სერ კლაივ ვუდვორდისგან განსხვავებით, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა შეგირდების შესაძლებლობები, ეშტონს ოპტიმალური ვარიანტების მონახვა უჭირს.

ეშტონი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი, იქნებ ზედმეტადაც კი და უილკინსონს ცალხელასაც ენდობა. „ვფიქრობ, ჯონი ახლა უფრო კარგი მორაგბეა, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო. მართალია, მას შემდეგ ბევრი ვერ ითამაშა, მაგრამ, სამაგიეროდ, უამრავ შეხვედრას უყურა და ამით ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა. ახლა გაცილებით ადვილია, იჯდე და უბრალოდ, ელაპარაკო. უილკინსონი ბრძენი ადამიანია და მასთან ურთიერთობა საინტერესოა.“

## სამოა

### რობინ ჰუდის ისრები

მსოფლიო რეიტინგი: 10

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — არ მონაწილეობდა

1991 — მეოთხედფინალში წააგო შოტლანდიასთან

1995 — მეოთხედფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან

1999 — მერვედფინალში წააგო შოტლანდიასთან

2003 — ჯგუფში ჩარჩა

**უკანა ხაზი:** სტივ სოოიალო, ჯუნიორ პოლუულელიგაგა, ლოკი კრიჩტონი, ლოლო ლუი, ელიოტა საპოლუ ფუიმაონო, ჯერი მიფუ, ანიტელეა ტუილაგი, დევიდ ლემი, სეილალა მაპოსუა, ელვის სევეალი, ბრაიან ლიმა, ლომე ფაატუ, ალესანა ტუილაგი, გევინ უილიამსი

**მორკინალები:** ჯასტინ ვაა, გენსუს ჯონსტონი, კასიანო ლიალამანუა, მაჰონრი სხვალხერი, დონალდ კერსლეიკი, მულიუფი სალანოვა, სილაო ვაისოლა სეფო, ფილიპო ლევი, კეინ ტომპსონი, დანიელ ლეო, იოსეფა ტეკორი, ულია ულია, ანრი ტუილაგი, სიულეო ლაფალიალი, ჯასტინ პურდი, სემო სეტიტი (კაპ)

**მწვრთნელი:** მაიკლ ჯონსი



**რობინ ჰუდის ისრები** — ასე მონათლეს სამოას ნაკრები ქართველმა მორაგბეებმა წინა მსოფლიოს თასის ჯგუფური მატჩის შემდეგ. მაშინ სამოელებმა ულაპარაკოდ დაამარცხეს ქართველები, ჩვენებმა კი თქვეს, ისე დაშხუილობდნენ, თვალს ძლივს ვაყოლებდითო.

წინა მსოფლიოს თასზე სამოამ ჩვენების გარდა ჯგუფში ურუგვაიც დაამარცხა, მაგრამ წააგო ინგლისთან და სამხრეთ აფრიკასთან და ჯგუფში ჩარჩა.

„არგამართლება სწორედ ამას ჰქვია. წინა მსოფლიოს თასზე ჯგუფში ორი მონსტრი, ინგლისი და სამხრეთ აფრიკა გვყავდა. ახლაც ზუსტად იგივე განმეორდა, თანაც მეოთხე და მეხუთე გუნდებად აშშ და ტონგა არიან, რომელთა დამარცხება ძალიან ძნელია — ეს სამოას ნაკრების მწვრთნელ მაიკლ ჯონსის სიტყვებია და იქვე ამატებს — ერთი სენსაციის მოხდენა მოგვიწევს, ინგლისის ამჟამად კრიზისშია და ეს უნდა გამოვიყენოთ.“

მაიკლ ჯონსი ვინმე არ გეგონოთ, ეს ის ლეგენდარული მორაგბეა, 1987 წელს ახალ ზელანდიასთან ერთად პირველი მსოფლიოს თასი რომ მოიგო. ჯონსი სამოელია, მაგრამ მეორე სამოელი ლეგენდის ჯო სტენლის დარად, ისიც „ოლ ბლექსში“ ბრწყინავდა.

იმ დროისთვის სამოას თავისი ეროვნული ნაკრები არ ჰყავდა. გერმანიის ყოფილი კოლონია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ზელანდიის გუბერნიაში შედიოდა, რის გამოც „ოლ ბლექსის“ რიგებში ბლომად სამოელს უთამაშია.

ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ვითარება შეიცვალა, სულ რაღაც 5 ათასი მორაგბის მყოლმა ქვეყანამ იმდენი მოახერხა, რომ მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზე დაბლა არ დაქვეითებულა, ახლა კი სულაც გრანდებს მისდევს და მე-10 ადგილი უკავია.

თავში ვთქვით, რომ წლეულს სამოა ჯგუფიდან სენსაციით თუ გავა, რაც ამ ეგზოტიკური ქვეყნის ჯიგრიან და ფეხმარდ ბიჭებს ნაღდად შეუძლიათ. მაგალითი გნებავთ? 1999 წლის მსოფლიოს თასზე ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი უელსი მისივე მოედანზე სენსაციურად მიანგრიეს და ჯგუფიდან ასე გაძვრნენ.

# სამხრეთ აფრიკა

მსოფლიო რეიტინგი: 4

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — არ მონაწილეობდა

1991 — არ მონაწილეობდა

1995 — ფინალში მოუგო ახალ ზელანდიას

1999 — ნახევარფინალში წააგო ავსტრალიასთან; მესამე ადგილისთვის მოუგო ახალ ზელანდიას

2003 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან



სამხრეთაფრიკელთა ბულდოზერი სხალკ ბურხერი

## ხარქისერა ქურციკები

**ჟიჩ კრისტი** ახლა პენსიონერი მწვრთნელია, 1995 წელს კი იმ ლეგენდარული სამხრეთ აფრიკის ნაკრებს წვრთნიდა, მსოფლიოს თასის ფინალში ახალი ზელანდიის უძლიერეს გუნდს 15:12 რომ მოუგო.

ფინალის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, სადაც მსოფლიოს თასზე მონაწილე ყველა ნაკრები ქეიფობდა, კრისტიმ დამცინავად თქვა, წინა ორი მსოფლიოს თასის მომგებები, ახალი ზელანდია და ავსტრალია, ყალბი ჩემპიონები არიანო.

რატომ თქვა კრისტიმ ეს? რატომ და, 1987 და 1991 წლების მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკის, მართლაც საოცნებო ნაკრებს, აპარტეიდის გადამკიდე თამაშის უფლება არ მისცეს. ისე, მარტო კრისტი როდი ფიქრობდა ასე. დღემდე სადავოა, მაშინ სამხრეთ აფრიკას რომ ეთამაშა, გახდებოდა თუ არა ახალი ზელანდია პირველი მსოფლიოს ჩემპიონი, ოთხი წლის შემდეგ კი ავსტრალია შეძლებდა თუ არა იგივეს.

ვარაუდები და ირონია იქით იყოს, სამხრეთაფრიკული რაგბი კი აპარტეიდულ და შემდგომ პერიოდებად დავყოთ.

აპარტეიდის შავკანიანი მორაგბეებისთვის ნაკრების და ელიტარული კლუბების კარები დახშული იყო, ისევე როგორც ყველა ამქვეყნიური სიამოვნება. 1992 წელს კი იცით, გადატრიალება მოხდა. ქვეყანას შავკანიანი ბელადი ნელსონ მანდელა გაუძღვა და შავით თეთრზე დაწერილი კანონები შავისთვისაც და თეთრისთვისაც ერთი გახდა.

აქედან მოყოლებული თითქმის ყველაფერი კარგად იყო, თუმც 2003 წლის მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე რასიზმის თემა კვლავ აქტუალური გახდა. იმ დროისთვის ნაკრების ახალბელამ, ბულასავით მორკინალმა ხიო კრონხემ ნომერში შავკანიან კვინტონ დევიდსთან ერთად ცხოვრება იუარა. მერე ვარჯიშზეც გალახა და ნაკრებიდანაც დაითხოვეს. საინტერესო ისაა, რომ რამდენიმე დღეში კრონხეს დევიდსიც მიაყოლეს. სხვათა შორის, კრონხეც და დევიდსიც თბილისში არიან ნამყოფები და ჩვენ ნაკრებსაც ერაგბნენ. დევიდსი 2002 წელს სამხრეთ აფრიკას „ა" ნაკრებს ჩამოჰყვა, ხოლო კრონხე 2004 წელს პრეტორიის „ბლუ ბულზს" ახლდა თბილისურ ტურნეზე. მაშინ ხიო კრონხემ გვითხრა, დიდ ქალაქებში არა, მაგრამ პერიფერიებში დღემდეა შემორჩენილი ეგრეთ წოდებული „შავი სირენაო".

ეს „შავი სირენა" დილის რვა საათზე შავკანიანებსატყობინებს, რომ სამუშაოდ უნდა წავიდნენ, საღამოს ათ საათზე კი სახლებში შევიდნენ, რადგან ლუდხანებში ან გასართობად სიარული მათთვის სახიფათოა.

კრონხე და „ბლუ ბულზი" ვახსენეთ. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ სამი წლის წინ პრეტორიელებს სამხრეთ აფრიკის დღევანდელი ვარსკვლავებიც ახლდნენ: ფრანს შტეინი, დენი როსოუ, ალბერტ ფან დერ ბერხი და გარი ბოთა „ეროვნულზე" საქართველოს ნაკრებს ერაგბნენ. ხოლო ვიცე-კაპიტანი ბობ სკინსტადი „ბარბაროსებს" ყოჩობდა, როდესაც მათ შარშან ჩვენს „ლელოებს" თბილისში ტესტი გაუმართეს.

„ქურციკების" მწვრთნელ ჯეკ ვაიტის თქმით, მისი რჩეულები მინიმუმ ნახევარფინალში უნდა გავიდნენ, საამისოდ კი ჯგუფში პირველივე მატჩში მოქმედი ჩემპიონების, დღესდღეობით გვარიანად დასუსტებული ინგლისის დამარცხება მართებთ. სამხრეთ აფრიკამ რომც წააგოს, პლეი-ოფში გამსვლელი მეორე ადგილს მაინც ვერავინ შეეცილება, მაგრამ ამ შემთხვევაში მეოთხედფინალში ცბიერ და ყველანაირად გამართულ ავსტრალიასთან მოუწევს დაჯახება.

**უკანა ხაზი:** პერსი მონტგომერი, ფრანს შტეინი, ბრაიან ჰაბანა, აკონა ნდუნხანე, ჯეიპი პიტერსონი, ეშვინ ვილემსე, ვინანდ ოლივიერი, ჟაკ ფური, ჟან დე ვილიე, ბაკ ჯეიმსი, ანდრე პრეტორიუსი, რიკი ჟანუარი, რუან პინარი, ფური დუ პრეეცი

**მორკინალები:** ბობ სკინსტადი, დენი როსოუ, ფიკუს ფან ჰეერდენი, იუან სმიტი, სხალკ ბურხერი, ჯოან მიულერი, ალბერტ ფან დენ ბერხი, ვიქტორ მეტფილდი, ბაქის ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ბიჯეი ბოთა, გურთრო სტეენკამპი, ოზ დუ რანდტი, ჯონ სმიტი (კაპ), გარი ბოთა, ბისმარკ დიუ პლესი

**მწვრთნელი:** ჯეკ ვაიტი

# აშშ

მსოფლიო რეიტინგი: 15

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ჩარჩა

1991 — ჯგუფში ჩარჩა

1995 — არ მონაწილეობდა

1999 — ჯგუფში ჩარჩა

2003 — ჯგუფში ჩარჩა

## იაპონიის მჩაგვრელი

**ოვალურ ბურთს** ამერიკაში გასული საუკუნიდან დარბენინებენ, მაგრამ მოსახლეობაში არცთუ დიდი პოპულარობით სარგებლობს, აშკარად ვერ უწევს კონკურენციას ამერიკულ ფეხბურთს, რომელიც — ყველამ გადასარევად ვუწყით და — სწორედ რაგბის ნასხლეტია.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა გუნდმა პირველივე მსოფლიოს თასზე ითამაშა 1987 წელს. ისტორიული გამარჯვებაც იაპონიასთან მაშინ მოიპოვა — 21:18. თექვსმეტი წლის ლოდინის შემდეგ იანკებმა წარმატება გაიმეორეს იგივე მეტოქესთან. იაპონია რჩება ერთადერთი გუნდად, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუმარცხებია. არადა, იანკებმა 1999 წელს კინაღამ რუმინეთსაც სძლიეს, მაგრამ 27:25 წააგეს. ფიჯის ნაკრებმა კი 2003 წელს 19:18 გამარჯვება ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდან.

ახლანდელი შემადგენლობის შვიდ მორაგბეს 2003 წლის მუნდიალზეც უთამაშია. მთავარ მწვრთნელ პიტერ ტორბენს სწორედ მათი ეიმედება. მორკინალი მაიკ მაკდონალდი, ნახევარმცველი მაიკ ჰერკუსი, მეორეხაზელი ლუკ გროსი მთელ თავიანთ გამოცდილებას და მონდომებას შეალევენ მსოფლიოს თასზე მორიგი გამარჯვების მოპოვებას.

**უკანა ხაზი:** ჩად ერსკინი, მაიკ პეტრი, მაიკ ჰერკუსი, ვალენესე მალიფა, ფილიპ ელოფი, ვახა ესიკია, ტრეტონ ალამო, ალბერტ ტუიპულუტუ, პო ემერიკი, ტაკუძა ნგვენია, სელესი სიკა, კრის უაილსი, ფრანსის ფილხოენი

**მორკინალები:** მაიკ მაგდონალდი, მატეკიტონგა მოეაკიოლა, კრის ოსენტოსკი, ჯონ ვიტალე, ბლეიკ ბარდეტე, ოუენ ლენცი, ლიუკ გროსი, მაიკ მანგანი, ჰაიდენ მექსტიდი, ალეკ პარკერი, ინაკი ბასუარი, მარკ აილორი, ტასი მუნგა, ტოდ კლევერი, დენ პეინი, ლუის სტენფილი, ჰენრი ბლუმფილდი

**მწვრთნელი:** პიტერ თორბერნი

# ტონგა

მსოფლიო რეიტინგი: 14

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ჩარჩა

1991 — არ მონაწილეობდა

1995 — ჯგუფში ჩარჩა

1999 — ჯგუფში ჩარჩა

2003 — ჯგუფში ჩარჩა

## ძვლებისმტვრეველნი

„ასეთი ბინძური ხერხებით მოთამაშე გუნდი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია" — შორეულ 80-იან წლებში მავანი უელსელი ნახევარმცველის შთაბეჭდილებები დღემდე არ გახუნებულა. ტონგელებთან ნათამაშები არაერთი მორაგბე გამოსულა მოედნიდან მსგავსი აზრით.

წყნარი ოკეანის ტალღებიდან ამოწვდილ ერთი ციდა კუნძულებზე მიმობნეული ტონგელები თავიანთ სამშობლოს „მშვიდობის კუნძულებს" უწოდებენ და ცხოვრებაში არც არავის ერჩიან, მაგრამ აი, რაგბის რაც შეეხება, აქ ისინი მშვიდობის და მტრის სიყვარულს ვერ დაიბრალებენ.

ტონგას კუნძულებზე რაგბი მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მეზღვაურებმა და მისიონერებმა შეიტანეს. ზღვაოსნობაში გაწაფული აბორიგენების თამამ სულს ეს ვაჟკაცური სპორტი შეუსისხლხორცდა.



ქვიშიან პლაჟზე გაზრდილი ტონგელები ძვლებისმმტვრეველ რაგბის თამაშობენ. არავის სიამოვნებს მათი ბოჭვა.

1995 წლის მსოფლიოს თასზე ტონგელებმა კოტ დივუართან პირველი გამარჯვება რომ მოიპოვეს, ამ თამაშში მათ ერთ-ერთი მეტოქე მაქს ბრიტო დააინვალიდეს. ის დღესაც პარალიზებულია და ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. სულ ახალი ამბავია: სივივატუ ტავევამ ირლანდიელებთან ჯახში მათი ლიდერი ბრაიან ოდრისკოლი ისე დალეწა, რომ ლამის მსოფლიოს თასგარეთ დატოვა.

ტონგელებს სისხლში აქვთ გამჯდარი რაგბობა, მაგრამ ქვეყანაში გამეფებული სიღატაკის გამო მათმა ნაკრებმა ეგრეც ვერ მიაღწია დიდ სიმაღლეებს. მეზობელი დიდრონი სარაგბო ქვეყნებიც იოლად სტაცებენ ნიჭიერ ბიჭებს, რის მაგალითადაც ახალზელანდიელის სახელით გაბრწყინებული უიდდესი სარაგბო ტალანტი ჯონა ლომუ გამოდგება. ტონგამ წინა 5 მსოფლიოს თასიდან ოთხში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შესამჩნევი წარმატების გარეშე — 1995 და 1999 წლებში ჯგუფში თითო თამაში მოიგო. ზოგადად ტონგას სასახელო გამარჯვებების სიის თავში 1999 წელს საფრანგეთის 20:16 ძლევაა, ხოლო შავ ლაქად 2000 წელს ახალ ზელანდიასთან 102:0 მარცხი მიიჩნევა.

ამ მსოფლიოს თასზე ტონგელებს ერთი სამიზნე აქვთ — დასცენ ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო ნაკრები.

**უკანა ხაზი:** ტომა ტოკე, მოსესე მოალა, ტაუფა ფილისე, სუანე ტონგა, სიოსატეკი მატაუ, ეფრაიმ ტაუკაფა, ალეკი ლუტუი, კელეკოლიო ეეა, ინოკე აფეაკი, ლისიატე ფააოსო, ემოსი კაუენგა, ოტენილი ლანგილანგი, ტევიტა ტუპოკო, ვილიამი ვაკი, ფინაუ მაკა, ოსაიასი ფილიპინე

**მორკინალები:** სუანე პეტიტა სიოაპე, ენელე ტაუფა, რეიმონდ ჰოლა, ტევიტა ტუიფაუ, ეპელი ტაიონე, უილსონ ვაკა, სუკანიავალუ იკავუკა ჰუფანგა, ისილელი ტუპუ, სეტი კიოლე, უალოსი კაილეა, აისეა კაუფუსი, ვუნგაკოტო ლილო, სიონე ტუიპულოტუ, ჰათსონ ტონგა

**მწვრთნელი:** ქუდუს ფიელეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

US OPEN 2007

## ამერიკის ღია პირველობა 2007 ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $



რაფაელ ნადალი



დავიდ ფერერი



კარლოს მოია



ფელისიანო ლოპესი

# ამერიკა ესპანურ ფერებში

## მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს

### კაცები
### მესამე წრე

ერნესტ გულბისი (ლატვია) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 6:1 6:3 6:2; კარლოს მოია (17, ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 4:6 7:5 7:6 4:6 6:4; ხუან მონაკო (23, არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 6:2 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:1 6:3 6:4; სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 6:4 4:6 6:4 6:3; ხუან-იგნასიო ჩელა (20, არგენტინა) — ივან ლიუბიჩიჩი (12, ხორვატია) 6:4 6:7 2:6 6:3 6:3; დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (24, არგენტინა) 6:3 3:6 4:6 7:6 7:5; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ჟო-უილფრედ ტსონგა (საფრანგეთი) 7:6 6:2 6:1

### ქალები
### მეოთხე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — დინარა საფინა (15, რუსეთი) 6:0 6:2; სერენა უილიამსი (8, აშშ) — მარიონ ბარტოლი (10, საფრანგეთი) 6:3 6:4; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) — სიბილ ბამერი (19, ავსტრია) 6:4 4:6 6:1; ვინუს უილიამსი (12, აშშ) — ანა ივანოვიჩი (5, სერბეთი) 6:4 6:2

**საუკეთესო** აშშ-ს ღია პირველობას ატარებენ ესპანელები. აქამდე წლის უკანასკნელი სლემტურნირის მეორე სათამაშო კვირისთვის ორ პირინეელზე მეტს არასდროს მიუღწევია, ახლა კი აქ ერთბაშად ოთხი ესპანელი იროგნავებს. ფელიჩიანო ლოპესის შემდეგ, რომელმაც ეს უფლება შაბათს მოიპოვა, მეოთხე წრეში ასევე ითამაშებენ რაფაელ ნადალი, კარლოს მოია და დავიდ ფერერი.

პირველ წრეში ნაჩვენები არცთუ დამაჯერებელი თამაშის შემდეგ ნადალი თანდათანობით უმატებს და აკი ბოლო ორი შეხვედრაში იოლადაც იხეირა. გუშინ კი ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ ჟო-უილფრედ ტსონგას გამოუყვანა წირვა და ამას ორ საათზე ოდნავ მეტი დაახარჯა. ფრანგმა მხოლოდ სეტნახევარი შეძლო მეტ-ნაკლებად თანაბრად ბრძოლა, მერე კი ველარ გაუძლო მალიორკელის შეთავაზებულ ტემპს და ყურებიც ჩამოყარა. ტსონგამ განსაკუთრებით პირველ პარტიაში გამოიდო თავი და მსოფლიოს მეორე ჩოგანი ძლიერი მოწოდებებით ისე გააწამა, რომ ნადალს ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია. თუმც რაფამ ტაიბრეიკზე იყოჩალა და დაწინაურდა, რის შემდეგაც ფრანგს უკვე თამაშის გადარჩენის შანსიც კი არ გასჩენია.

„კმაყოფილი ვარ საკუთარი თამაშით. როცა მუხლი არ მტკივა, მაღალ დონეზე ვჩოგნაობ — ამიტომ იმედი მაქვს, ტრავმა აღარ შემაწუხებს. თუმც ვცდილობ, მუხლზე კი არა, თამაშზე ვიფიქრო ხოლმე და ბოლო ორ შეხვედრაც ამიტომ მოვიგე ასე იოლად“ — განაცხადა ნამატჩევს ნადალმა.

რაფას ახლა თანამემამულე დავიდ ფერერთან მოუწევს დაჯახება, რომელმაც თავის მხრივ ხუთ სეტში გამოჰგლიჯა გამარჯვება დავიდ ნალბანდიანს. არადა, არგენტინელი უფრო ახლოს იყო წარმატებასთან, რადგანაც ჯერ მეოთხე სეტში, როცა პარტიებში 2:1 წინ იყო, 4:3-ს იგებდა და აწოდებდა, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და ფერერს ტაიბრეიკზე ანგარიში გაათანაბრებინა. გადამწყვეტ სეტშიც წინ იყო ნალბანდიანი და ფერერს ახლა უკვე მატჩ-პოინტის განეიტრალებაც მოუწია, რასაც პირინეელმა წარმატებით გაართვა თავი, მერე კი უკვე თვითონ გააკეთა ბრეიკი და შანსი აღარ გაფლანგა.

ხუთსეტიანი ჯახიდან ასევე წარმატებით გამოძვრა კარლოს მოიაც, რომელსაც ფილიპ კოლშრაიბერი დიდხანს კი ეომა, მაგრამ გამოცდილი ესპანელთან ვერაფერს გახდა.

წარმატებული დღის მიუხედავად, ესპანელებს ერთი დანაკლისი მაინც აღმოაჩნდათ, თან იმ მხრიდან, საიდანაც არავინ ელოდა — ტომი რობრედო პირწმინდად განადგურდა ტურნირის ერთ-ერთ მოულოდნელობად ქცეულ ლატვიელ ერნესტ გულბისთან. ბალტიისპირელმა მსოფლიოს მერვე ჩოგანი მიწასთან გაასწორა და მხოლოდ ექვსი გეიმი დაუთმო. გულბისის შემდეგი მეტოქე ასევე ესპანელი, მოია იქნება.

რადეკ შტეპანეკთან გადატანილი ხუთსაათიანი ბატალიის შემდეგ ზედმეტ გადაღლას მოერიდა ნოვაკ ჯოკოვიჩი და ამ სურვილით აღვსილმა მეყსეულად გადათელა ხუან მარტინ დელ პოტრო. სერბმა 100 წუთზე ოდნავ მეტი დაახარჯა არგენტინელს. ახლა ჯოკოვიჩი პატაგონიის კიდევ ერთ წარმომადგენელ ხუან მონაკოს დაეტაკება.

ქალებში კი მეოთხე წრის შეხვედრები გაიმართა, რომლის შედეგადაც ბადის ზედა ნახევარში ძალიან ძლიერი მეოთხედფინალური წყვილები შეიქნა. ოღონდ თავად ამ შეხვედრებმა იმედები ვერ გაამართლა, რადგანაც ვერც ერთ მათგანში ვერ ვიხილეთ მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა. თუმც ეს ალბათ ის მოჩვენებითი სიმშვიდე იყო, რაც დიდი შტორმის წინ იცის ხოლმე. შტორმს კი მეოთხედფინალებში უნდა ველოდოთ, სადაც სერენა უილიამსი ჟუსტინ ენინს, ვენუსი კი ელენა იანკოვიჩს დაეჯახება.

გუშინ სერენა ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე გაუმკლავდა წლევანდელი უიმბლდონის მოულოდნელ ფინალისტ მარიონ ბარტოლის. ფრანგმა, როგორც ლონდონში, ვერაფერი ვერ დაუპირისპირა ვინუსის ძლიერ მოწოდებას და ამჯერადაც უძლური აღმოჩნდა უმცროსი დის ყუმბარამტყორცნის წინააღმდეგ. სერენამ ორად ორი ბრეიკი იმყოფინა, საკუთარ მოწოდებაზე კი ახლოსაც არ მოუშვა ბარტოლი და საქმე საათნახევარში მოათავა.

„რა უნდა მექნა მის ჩამოწოდებულს ხშირად არათუ ვერ ვხედავდი, არამედ მასზე რეაგირებასაც ვერ ვასწრებდი. როცა ასე აწოდებს, სერენას წინააღმდეგ თამაში უაზრობად იქცევა ხოლმე“ — მხრებს იჩეჩდა ნამატჩევს ბარტოლი.

მორიგი მეტოქის ვინაობის გასარკვევად უმცროს უილიამსს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, რადგანაც ენინმა კიდევ უფრო ნაკლები მოანდომა დინარა საფინას გაცამტვერებას. მან რუსს მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

ასე რომ, წლეულს ენინ-სერენას კიდევ ერთ ჯახს ვნახავთ — ამ სეზონში ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ორჯერვე სლემტურნირების მეოთხედფინალებში — „როლან გაროსზე“ და უიმბლდონზე და ორჯერვე გამარჯვება ჭინკა ბელგიელს დარჩა. თუმც უმცროსი შავდა იმუქრება, ახლა უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე იმ შეხვედრების დროსო.

მაგრამ შემართების ნაკლებობას არც ენინი განიცდის — „ვფიქრობ, ამ მატჩს ჩოგბურთის ყველა მოყვარული მოუთმენლად ელოდა და აგერ ისიც მოვიდა. სიმართლე გითხრათ, მეც აღფრთოვანებული ვარ, კიდევ ერთ ასეთ სუპერ-მეტჩში რომ მომიწევს მონაწილეობა. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცით, რას უნდა მოველოდეთ, ამიტომ საეჭვოა, ერთმანეთი რაიმეთი გავაკვირვოთ. მოიგებს ის, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.“

ვენუსი კი სერბულ გარემოში მოქცეულა — გუშინ ანა ივანოვიჩს გაუმკლავდა და წინ ელენა იანკოვიჩს ელოდება.

ივანოვიჩი უფროსმა უილიამსმა ძალიან იოლად დაჯაბნა. თინეიჯერ სერბს უმთავრეს ფავორიტთა შორის კი მოიხსენიებდნენ და ბოლო თვეებში მისი პროგრესის შემყურეთ ეგონათ, რომ ანა ტიტულამდე დაუბრკოლებლად ივლიდა, მაგრამ... ჩანს, ივანოვიჩი მაინც არ არის მზად ვენუსის მაგვარ ვეშაპებთან ტოლ-სწორად საომრად.

ამერიკელმა ადვილად, კლასის ხარჯზე მოუგო ივანოვიჩს და სერბი ციდან დედამიწაზე დააბრუნა. ისე, ანას ვენუსი გადაულახავ ზღუდედ ექცა — მას უკვე მეოთხედ შეხვდა და არათუ რომელიმე შეხვედრა, არამედ ჯერ სეტიც კი ვერ აცალა.

იანკოვიჩს კი გუშინ ყველაზე მეტად გაუჭირდა, რადგანაც სიბილ ბამერმა მას ერთი სეტი აართვა. თუმც ეს სერბის ბრალი უფრო, რადგანაც მეორე სეტში მას დროებით ჩაეძინა და ბრიყვული შეცდომები დაუშვა, რითაც ავსტრიელმა ისარგებლა. თუმც იანკოვიჩმა გადამწყვეტ პარტიაში ყველას დაანახვა, რომ ის და სხვადასხვა სიბრტყეებში არიან და ალპების წარმომადგენელს მხოლოდ გეიმი „აჩუქა“.

ამით კი იანკოვიჩმა ვენუსთან რანდევუ გამოიწერა — სერბი ახლა იმედოვნებს, რომ შეძლებს „როლან გაროსზე“ მომხდარის გამეორებას და უფროს უილიამსს კიდევ ერთხელ წააქცევს.

**ქახა ლომჯარიძე** 



მარკუს გრონჰოლმმა ლიდერობა განიმტკიცა

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XI ეტაპი. ახალი ზელანდია. 353,6 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3 სთ; 52.53,9 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 0,3 |
| 3 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 1.42,8 |
| 4 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 2.32,3 |
| 5 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 2.36,9 |
| 6 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 3.42,0 |
| 7 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3.54,7 |
| 8 | ურმო აავა (ესტონეთი, მიცუბისი) | 9.16,3 |

**საერთო ჩათვლა**

1 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 90 ქულა; 2 ლოები — ელენა 80; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი 69; 4 სორდო — მარტი 31; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი 31; 6 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 28; 7 ატკინსონი — მაკნილი/პრევო 25; 8 ლატვალა — ანტილა 17; 9 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, სიტროენი) 10; 10 კარლსონი — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 9

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 159 ქულა, სიტროენი 113, სუბარუ 60, სტობარდ — ფორდი 55, კრონოს — სიტროენი 35

ველორბოლა

## ვუელტა-2007
ესპანეთი. 1-23 სექტემბერი

# ბეტინი ფრეირეს დროებით უსწრებს

**გუშინ** სეზონის მესამე და ბოლო სუპერრბოლის „ვუელტას" მესამე დღე იყო. მართალია, ესპანური რელიეფის და რბოლის სირთულის გამო წლევანდელ „ვუელტას" ბევრმა სახელიანმა მრბოლმა უგანა და თავი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეინახა, მაგრამ იქ მაინც ატრიალებენ პედლებს რკინის ბედაურების გამორჩეული მხედრები.

ერთ-ერთი ასეთი მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი პაოლო ბეტინია, რომელმაც გუშინ ვივეიროდან ლუარსამდე გაჭიმული 153-კილომეტრიანი, ალაგ-ალაგ ციცაბოიანი და გორაკიანი ტრასა, 4 საათში, 8 წუთსა და 42 წამში ჩაარბოლა და მიჯრით მეორედ უკან მოიტოვა ესპანელი ოსკარ ფრეირე.

ფრეირემ გუშინწინდელი რბოლა და მე-2 ეტაპი მოუგო ბეტინის და საერთო ჩათვლასაც ის ლიდერობს. ბეტინიმ ამ „ვუელტაზე" მეორე, სულ ესპანურ ტურში კი მესამე ეტაპი მოიგო. ერთიც, ბეტინი არ ითვლება მრავალდღიანი რბოლების სპეციალისტად, ამდენად, მისი ფავორიტობა დროის ამბავი უნდა იყოს.

**ბაჩო სვანიძე**

**მე-3 ეტაპი. 3 სექტემბერი. ვივეირო-ლუარსა 153 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქსტეპი) | 4.08,42 |
| 2 | ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) | |
| 3 | ალან დევისი (ავსტრალია, დისქოვერი) | ყველა იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) | 7.51,51 |
| 2 | პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქსტეპი) | |
| 3 | ალან დევისი (ავსტრალია, დისქოვერი) | ყველა იგივე დრო |

კალათბურთი

## ევროპის ჩემპიონატი
ესპანეთი. 3-16 სექტემბერი

**A ჯგუფი**

სერბეთი 65:73 რუსეთი

ისრაელი 66:76 საბერძნეთი

**B ჯგუფი**

ლატვია 85:77 ხორვატია

პორტუგალია 56:82 ესპანეთი

**C ჯგუფი**

ჩეხეთი 78:83 გერმანია

თურქეთი 69:86 ლიტვა

**D ჯგუფი**

პოლონეთი 66:74 საფრანგეთი

იტალია 68:69 სლოვენია



# ჯუჯა პრიზი ბავშვს შეხვდა

**იტალიის** ტერიტორიაზე, ტიტანოს მთაზე შეყუჟულ სან მარინოს მოტოეტაპი 14 წლის შემდეგ დაუბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონატს. ამ ჯუჯა ქვეყნის გრან პრი ოციოდე კილომეტრით დაშორებულ ზღვისპირა ქალაქ რიმინის „მისანო ადრიატიკოს" ავტოდრომზე რეგულარულად იმართებოდა, მაგრამ 1993 წლის რბოლა ბოლო აღმოჩნდა, რადგან მეოთხედი საუკუნით ადრე მოწყობილი და საკმაოდ მობერებული ტრეკი ველარ უზრუნველყოფდა გამძლავრებული მოტოციკლების მხედართა უსაფრთხოებას.

„მისანოს" ორი წლის წინ ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და მოტოელიტის მასპინძლობის უფლება დაიბრუნა. შეიცვალა მოძრაობის მიმართულებაც, წინათ მრბოლები საათის ისრის საწინააღმდეგოდ დაქროდნენ, ამჟამად პირიქითაა.

ვიწრო და ჩახვეულ ტრასაზე გასასწრებად ხელსაყრელი სულ ერთი-ორი ადგილია და რა გასაკვირია, თუკი ასეთ რთულ ვითარებაში პოზიციის გასაუმჯობესებლად სამივე კლასში ბლომად ავარია მოხდა — საბედნიეროდ, პილოტები არ დაშავებულან, მხოლოდ რაშები დაუზიანდათ.

სანმარინოული ეტაპი მშობლიურია არა მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქე ალექს დე ანჯელისისთვის, არამედ უშუალოდ რიმინიში დაბადებულ-გაზრდილ მატია პასინისთვის და აგრეთვე ლეგენდარულ ვალენტინო როსისთვისაც, რომელიც იქიდან ორიოდ ნაბიჯზე, ურბინოში დაიბადა და, რომ იტყვიან, „მისანო-ადრიატიკოზე" აიდგა ფეხი.

ამდენად ბუნებრივია, „დოქტორი" ვალენტინო გამორჩეულად სწორედ იქ გამარჯვებით ლამობდა წლევანდელ შერცხვენილ სეზონში ნაწილობრივ რეაბილიტირებას, მით უფრო, რომ მის „იამაჰაზე" შეცვლილსარქველებიანი ახალი ძრავა იდგა.

მაგრამ ჩემპიონატის მე-13 ეტაპი მსოფლიოს შვიდგზის გვირგვინოსან როსისთვის კატასტროფულად დანავსული აღმოჩნდა. თუმც „ვალი" კვალიფიკაციის ბოლომდე ტოლ-სწორად ებრძოდა სეზონის გმირ კეისი სტოუნერს და სულ რაღაც წამის მეათედით ჩამორჩა, ეს კი მეორე დღეს რბოლაში დაძაბულ ბრძოლას მოასწავებდა. ოღონდაც...

როსიმ სტარტი ამჯერადაც ჩააფლავა, ორი პოზიცია დაკარგა და ჩვეული აგრესიის გარეშე მეოთხე მისდევდა დაწინაურებულ სამეულს — სტოუნერი, ჰოპკინსი, ვერმიულენი. რამდენიმე წუთში მოსახდენი მოხდა, ოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ „დოქტორს" ის ახალი ძრავა „შემოაკვდა" და რბოლას გამოეთიშა.

სტოუნერმა ჩინებულად დაიწყო, თავიდანვე ისე სწრაფად გაუტია, რომ ფინიშამდე ახლოს არავინ გაიკარა და ალმდგარი „ჯუჯა" გრან პრი შესასრულებლად მეტად რთული დიდი სლემით (პოულ-პოზიცია, უსწრაფესი წრე, სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა, გამარჯვება) მოიპოვა.



კეისი სტოუნერმა ტიტული თითქმის გაინაღდა

უკვე მეორე მოსახვევში ვიწრო ტრეკი ვერ გაიყვეს ფრანგმა რენდი დე პიუნემ და გენერალურ კლასიფიკაციაში საპრიზო პრეტენდენტმა, ესპანელმა დანიელ პედროსამ — უზარმაზარ სიჩქარეზე მოტოები ერთმანეთს მიალეწეს და, ცხადია, უქულოდ დარჩნენ.

ამრიგად, 21 წლის მწვანე კონტინენტელმა ვუნდერკინდმა სტოუნერმა უკვე მერვე უპრობლემო გამარჯვება მოიპოვა, ორივე მთავარი „მტრის" გამოვარდნით ჩემპიონატის ფინიშამდე ხუთი ეტაპით ადრე ლამის ას ქულამდე გაზარდა უპირატესობა და „სამეფო კლასში" ამ ასაკისთვის სენსაციური ტიტულიც თითქმის უკვე ჯიბეში უდევს.

არანაკლები, მეტი თუ არა, ოროამტრიალი იყო ორივე დაბალ კატეგორიაში. 125-კუბურ სანტიმეტრიანებში პირველ სასტარტო პოზიციაზე საგვირგვინო ჩეხი პრეტენდენტი ლუკაშ პეშეკი კი იდგა, მაგრამ დაძვრისას შეყოვნებულს 21 წლის მასპინძელმა მატია პასინიმ აუარა გვერდი და მდევართა უმწვავესი შეხლა-შებრძოლების მიუხედავად, მეწინავეობა ფინიშამდე შეინარჩუნა. ეგაა, წლეულს მესამე დიდმა პრიზმა რიმინელი მრბოლი ბევრით ვერ აზეირა — გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა. საერთო ჩათვლაში ლიდერმა ექტორ ფაუბელმა იტალიელ სიმონე კორსისთან შეჯახების შემდეგ რის ვაივაგლახით კი შეძლო რბოლის გაგრძელება, მაგრამ უქულოდ დარჩენილს გაბორ ტალმაშისთვის მეწინავეობის დათმობა მოუხდა.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი

### სან მარინოს დიდი პრიზი. მისანო — 4,18 კმ

**მოტო გრან პრი — 117,0 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეისი სტოუნერი (ავსტრალია; დუკატი მალბორო) | 44წთ; 34,7 |
| 2 | კრის ვერმიულენი (ავსტრალია, რიზლა სუძუკი) | ჩამორჩა 4,8 |
| 3 | ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუძუკი) | 16,0 |

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 271 ქულა; 2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) 186; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 168; 4 ვერმიულენი 144; 5 ჰოპკინსი 140

**250 სმ³ — 108,7 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 42წთ; 54,4 |
| 2 | ჰიროში აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 3,6 |
| 3 | ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) | 7,0 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 241 ქულა; 2 ალექ დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) 187; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 186; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 135; 5 ბარბერა 119

**125 სმ³ — 96,1 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მატია პასინი (იტალია, პოლარის აპრილია) | 39წთ; 47,9 |
| 2 | გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) | ჩამორჩა 4,8 |
| 3 | ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) | 8,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 189 ქულა; 2 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 179; 3 კოიამა 145; 4 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) 129; 5 სიმონე კორსი (იტალია, ხკაილდ აპრილია) 119

# მფრინავი და ფრინველები

მიფრანავენ წეროები სად? შორს. რამდენი? არ ვიცით... ისე, ეს ფრინველები წეროებზე მეტად იხვებს უფრო ჰგვანან. მათ სრულიად უდრტვინველად ჩაუფრინეს შვეიცარიის ცაზე მოლივლივე მოტოპლანერს, რომელიც მის მსგავსთა შეჯიბრში მონაწილეობს.





# ძეგლი კალათბურთს

თითებზე ჩამოითვლებიან კალათბურთელები, რომელთაც იშვიათი ბედნიერება ხვდათ — შეეხედათ საკუთარი ქანდაკებისთვის. მაგალითად, ჩიკაგოში ძეგლი დაუდგეს მაიკლ ჯორდანს, სოლტ ლეიკ სიტიში კი კარლ მელოუნს. მაგრამ თავს ვერავინ დებს, რომ ზოგადად კალათბურთის მადიდებელი სკულპტურა დგას სადმე. ამიტომაც, როცა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ეს მშვენიერი მონუმენტი გაიხსნა, კალათბურთზე შეშლილმა ლიტველებმა ამაყად ამცნეს მსოფლიოს — ჩვენ პირველები ვართ, ვინც კალათბურთი ამგვარად განვადიდეთო. სკულპტურა მართლაც შთამბეჭდავია: 5,7 მეტრი სიმაღლისაა და 30 ტონას იწონის. ჩინეთში დამზადებული ვეებერთელა ლითონის ბურთი ეყრდნობა ქვის ხუთ სვეტ-ხელს.

# უიმედოდ, მაგრამ უტრავმოდ



ჩინელ ტანმოვარჯიშე შა ქსიაოს ილეთი გაუცუდდა და ტრავმასაც ძლივს გადაურჩა. შტუტგარტში მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მას აღარც უნდა ჰქონდეს წარმატების იმედი.



# ლენს არმსტრონგი: ველოსპორტის ტელესახე

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი უკვე ორი წელია რბოლებში აღარ მონაწილეობს, მაგრამ ის მაინც არ ჩამოდის ველოდან და ტელეეკრანებიდან. ახლა ის სამხრეთ კორეაში ჩასულა, სადაც ერთდღიანი ველოტურის გახსნაზე მიუწვევიათ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge